ცალკე ნომერი 5 კაპ.

# ტალღა

თფილისი

პარასკევი 11 (24) აგვისტო.

1906

წლიწადი პირველი

რედაქციის კანტორა იმყოფება მიხაილოვის პროსპექტზე, № 102 ეზოში.

№ 11 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 11

30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ტ ა ლ ღ ა“

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ რედაქციის კანტორაში—მიხაილოვის პროსპ., სახლი № 102.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მ., სამი თვით 2 მან., ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., საზღვარგარეთ ერთი წლით—10 მ., ნახევარი წლით—6 მ. ცალკე № ყოველგან 5 კ.

ხელის-მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА“.

## გაზეთის გამყიდველების საყურადღებოთ

ვაცხადებთ, რომ პროვინციის აგენტებს თითო ეგზემპლიარი გაზეთისა ეთმობა $3^1/_2$ **კაპეიკათ**. აგენტმა გაზეთის გამყიდველებს უნდა დაუთმოს 4 **კაპეიკათ**, დარჩენილ გაზეთებს უკან აღარ ვღებულობთ. თფილისშიაც გამყიდველებს 4 კაპეიკათ ეთმობათ ეგზემპლიარი.

ვ ე ტ ც ე ლ ი ს თ ე ა ტ რ ი

**კვირას**, 13 **აგვისტოს** 1906 **წ**.

სახალხო სცენის მოყვარეთაგან, წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი ორიგინალური პიესა

I

### თფილისის ჯურღმულები

სცენა თფილისის ცხოვრებიდან 3 მოქ. ა. ბაქრაძისა.

II

### ე რ თ ო ბ ა

სცენა რესტორანში 1 მოქ. ალ. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ამხანაგები.

ბილეთები იყიდება: გაზეთ „ტალღის“ კანტორაში, დილის 12 საათიდან 3 საათამდე ალექ. ლანდთან და წარმოდგენის დღეს თეატრის კასაში საღამოს 4 საათიდან.

გამგე **ალ. ბაქრაძე**.

იბეჭდება და მალე გამოვა **ივ. გომელაურის**-მიერ შედგენილი ახალი წიგნი:

„სკოლებში შესასწავლი

### ქართველი მწერლები“.

## პოლიტიკური ვითარება და ჩვენი ტაქტიკა

IV

დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის დასახასიათებლათ დაგვრჩა გავიხსენოთ, თუ როგორი განწყობილება ჩამოვარდა სხვილ ბურჟუაზიისა და აგრარიების (მემამულეების) ბანაკში.

ბევრს ჰგონია, ვითომ დუმის გარეკა სხვილ ბურჟუების და მემამულეების საქმე ყოფილიყოს. ასე სხარტულათ ნათქვამი აზრი, რასაკვირველია, შემცდარი არის და ეს მომდინარეობს იმ მეორე შეცდომისაგან, ვითომ სხვილი ბურჟუაზია და ბიუროკრატია ერთი და იგივე იყოს. ამაზე აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი. მართალია სხვილი „ბიუროკრატები“ და სხვილი ბურჟუა-მემამულეების ერთი ნაწილი ფიზიკურათ ერთი და იგივენი არიან, მართალია „ბიუროკრატიას“ და სხვილ ბურჟუაზიას თავიანთ შორის ბევრჯელ უკეთებიათ „ბნელი საქმეები“, ხშირათ ჰქონიათ კავშირი, მარა ეს არაოდეს არ ყოფილა კანონიერი შეუღლება. ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება სხვილ ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბატონობის ბუნებრივი ფორმა. მასაც ისე, როგორც ყველა ჯიშის და მოდგმის ბურჟუაზიას, ესაჭიროება ძველი რეჟიმის გაუქმება და პარლამენტარიზმის დამყარება; მართალია ისეთი პარლამენტარიზმის, რომლის საშენებელი მასალა უმთავრესათ ნასესხები უნდა იყოს ძველი რეჟიმიდან. სხვილი ბურჟუაზია თითქმის კმაყოფილი იყო მიმდინარე წლის თებერვლის „კონსტიტუციით“, რადგან იმედოვნებდა, რომ იმის მეოხებით შესწორ-შემოსწორებას ადვილათ მოახერხებდა.

კადეტების უმრავლესობის სახელმწიფო დუმა სხვილი ბურჟუაზიისთვის და აგრარიებისთვის რასაკვირველია, ხელსაყრელი ვერ იქნებოდა და აკი მათი წარმომადგენლები—გრ. გეიდენი, სტახოვიჩი და სხ. დუმის წინააღმდეგ ზურგს უმაგრებდენ მთავრობას. მაგრამ დუმის გარეკას ისინი მაინც ვერ განიზრახავდენ, თუნდ იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ასეთი ძალმომრეობა აუცილებლათ გააძლიერებდა რევოლიუციას.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ შეხვდა დუმის გარეკას იმპერიის ხსენებული ნაწილი. ამას კარგათ მოწმობს სტოლიპინის გაცრუებული იმედები შეედგინა „საზოგადო მოღვაწეთა სამინისტრო“. რათა ამრიგათ ეთამაშნა ფლირტი ლიბერალ-ბურჟუაზიასთან. როცა ამ მიზნით პრემიერმა მიმართა გეიდენს, სტახოვიჩს, ლვოვს, შიპოვს, ამათ ერთხმათ შეუძახეს: უწინარეს ყოვლის, მთავრობამ უნდა აღიაროს, რომ დუმის გარეკით „ძირითადი შეცდომა“ ჩაიდინაო, ე. ი. ძველმა მთავრობამ თვითონვე საქვეყნოთ თავი მოიჭრასო. „საზოგადო მოღვაწეთა“ ასეთ მოთხოვნას ბანი მისცა იმათმა პრესამ: დიახ, მთავრობამ ჩაიდინა „ძირითადი შეცდომა“—„მართლა რომ ძირითადი! მწარე ძირი გახლავთ ეს, და ამ ძირიდან როგორი ხე ცნობადისა ბოროტისა და კეთილისა აღმოცენდების—უარს ვამბობთ ვიწინასწარმეტყველოთო“.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ დუმის გარეკის შემდეგ სხვილ ბურჟუაზიის და აგრარიების მოწინავე პარტიამ (ოქტომბრისტები) თვალსაჩინოთ დაიწია მარცხნივ, თავის პროგრამაში შეიტანა ისეთი მოთხოვნები, რასაც გუშინ თვითვე ებრძოდა; ასეთი არის პასუხის მგებელ სამინისტროს მოთხოვნა. მკითხველს ეხსომება, რომ დუმის საისტორიო 13 მაისს, როცა წაკითხულ იქმნა გორემიკინის სამინისტროს დეკლარაცია, ოქტომბრისტების ბელადი სტახოვიჩი გამოვიდა სამინისტროს დამცველათ და მისი და გეიდენის ჯგუფის სახელით წარდგენილ იქმნა „უმცირესობის განცხადება“, სადაც ნათქვამია, რომ უმცირესობა წინააღუდგა პასუხის მგებელ სამინისტროს მოთხოვნას იმ მოსაზრებით, რომ „დუმის დადგენილებანი დამყარებულ უნდა იქნას კანონებით განსაზღვრულ მისს უფლებებზე“, ე. ი. ოქტომბრისტები წინააღუდგენ დუმის გადაწყვეტილებას იმ მოსაზრებით, რომ ეს აღემატებოდა თებერვლის „კონსტიტუციისაგან“ დაჯებულ დუმის კომპეტენციას (უფლებრივ საზღვრებს) ახალ პროგრამაში ოქტომბრისტები სხვათა შორის ითხოვენ გაფართოებულ იქმნას დუმის კომპეტენცია. მათ სახელიც კი ახალი დაირქვეს—მშვიდობიან განახლების პარტია—რათა უფრო ადვილათ გასწმინდონ თვისი პარტია შავ-რაზმელთა ელემენტებისაგან.

ერთი სიტყვით თვით პოლიტიკურათ შეგნებული ნაწილი სხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეებისა კვლავ ჩამოშორდა მთავრობას და მას აშკარა ოპოზიციაში ჩაუდგა. მკითხველის ყურადღება მივაქციეთ ამ მოვლენაზე იმიტომ კი არა, რომ ჩვენ რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევდეთ სხვილ ბურჟუაზიას და ან რაიმე სამსახურს გამოველოდეთ მისგან განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის. ჩვენ კარგათ ვიცით სხვილ ბურჟუაზიის ყველა ამ გეიდენების და სტახოვიჩების გაოპოზიციონერების ფასი; თუ დღეს იგინი ოპოზიციაში არიან, ხვალ საკმაოა მდგომარეობ, მცირეოდნათ შეიცვალოს, რომ იგინი რეაქციაში გადავიდენ რევოლიუციის და ოპოზიციის წინააღმდეგ საბრძოლველათ. გაბედვით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რუსეთში სხვილი ბურჟუაზია არის quantité négligeable, ე. ი. არც კია სახეში მისაღები. რაც უნდა სუსტი იყოს რუსეთის რევოლიუცია, მისი ტალღები იმ სიმაღლეზე მაინც კი ავლენ, რომ სხვილ ბურჟუა-მემამულეებს ზედ გადაუარონ. ჩვენ აქ აღვნიშნეთ სხვილ ბურჟუაზიის და მის წარმომადგენელთა გაოპოზიციონერება, როგორც სიმპტომატიური მოვლენა, დროის მაჩვენებელი, მომენტის დამახასიათებელი.

ყველა აღნიშნულ ფაქტებიდან მკითხველი ხედავს თუ რამდენათ შორს წასულა მთავრობის განმარტოება. მას, როგორც კეთროვანს გაურბიან თვით გუშინდელი მეგობრები, მთავრობას ჩამოშორდენ ყველანი, მის წინააღმდეგ ამხედრებულნი არიან ყველა კლასები, ყველა სასიცოცხლო საზოგადოებრივი ელემენტები. მთავრობა სდგას მარტოთ-მარტო, ვით დაწყევლილ განრისხული ჯალათი 150 მილიონი ხალხისა. მთავრობა ეყრდნობა მხოლოდ „შტიკებს“ და ისიც შერყეულ „შტიკებს“. მან აღარ იცის საით წავიდეს, რა გზას დაადგეს, სასტიკი რეპრესიები, ცეცხლი და მახვილი აალაპარაკოს, თუ „მაღალი ლიბერალიზმი“ და „რეფორმატორობა“ აწარმოვოს. მან მხოლოდ ერთი რამ იცის დაბეჯითებით: განახლებულ რუსეთს იგი ცოცხალი თავით ვერ შეურიგდება.

დღევანდელი პოლიტიკური ვითარება ერთიანათ ჰგავს იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა 17 ოქტომბრის წინათ და ეს მსგავსება არსებობს თვით წვრილმანებშიაც კი. როგორც ეხლა, ისე მაშინ სხვილი ბატონები—შემდეგ გაოქტომბრისტებულნი განმათავისუფლებელ მოძრაობას თუმცა შორიდან, მაგრამ მაინც—ბანს აძლევდენ და საერთო ოპოზიციონურ ფერხულში ებმებოდენ. მაგრამ ამ ორ მდგომარეობას შორის სძევს მთელი ის განსხვავება, რაიც მოახდინა, მოძრაობის მეორე პერიოდმა—17 ოქტომბრიდან დუმის გარეკამდე ეს პერიოდი უარჰყოფს პირველს და ამზადებს მესამე მიმდინარე პერიოდს. განმათავისუფლებელი მოძრაობა 17 ოქტომბრამდე თუმცა საერთო სახალხოა, მარა მას უმთავრესათ სტიქიური ხასიათი აქვს. საერთო ლოზუნგია „თავისუფლება“, რის განხორციელებას ქვეყნის დიდი ნაწილი ელის მაღლიდან. დღეს რუსეთის იმპერია ზევიდგან აღარაფერს ელის ცეცხლის მეტს. მან შეიგნო, რომ ტანჯვა-წამება არ მოშორდება და ადამიანური ცხოვრება არ ეღირსება იმ დრომდე, ვიდრე ხალხი ძველ მთავრობას არ გამოგლეჯავს ძალა-უფლებას და თვითვე არ გახდება თავის-თავის ბატონ-პატრონი. ამისათვისვე საჭირო არის მოწვეულ იქმნას „სახალხო წარმომადგენელთა“ ისეთი კრება, რომელსაც ექნება უფლება და შეძლება გარდაქმნას „საზოგადოებრივი ცხოვრება“ („რუსკ. სლოვო“ ტერმინებია). აი ამ მიზნის გარშემო თავს იყრის რუსეთის იმპერიის დიდი უმრავლესობა, რას ვამბობ, ყველა კლასები, ყველა სასიცოცხლო საზოგადოებრივი ძალები. ამასთანავე აქ. ეს ძალები, უკვე ნათლათ გამიჯნულნი არიან სხვადასხვა პარტიულ ორგანიზაციებში, სხვადასხვა პროგრამების, სხვადასხვა კლასიურ მისწრაფებათა განხორციელებას ელტვიან. მაგრამ ეს ძალები ერთმანეთს უახლოვდებიან და მხარს აძლევენ საერთო მტრის დასამარცხებლათ, საერთო მიზნის შესასრულებლათ. ამრიგათ სდგება განმათავისუფლებელ ძალთა დიადი კოალიცია ძველი რეჟიმის წინააღმდეგ. ამრიგათ დუმის გარეკიდან დაიწყო განმათავისუფლებელ მოძრაობის მესამე—თუ შეიძლება ასე ვთქვათ—სინტეტიური პერიოდი. იგი დასკვნაა განვლილ ეტაპების, გამომუშავებულია განვლილ მწარე გამოცდილებათაგან. განმათავისუფლებელი ძალები შეადგენენ უმაღლესი ტიპის „ერთობას“, რომელიც უსათუოდ უნდა გათავდეს რევოლიუციის გამარჯვებით.

ყველა ზემო ნათქვამიდან თავის თავათ გამომდინარეობს, თუ როგორი უნდა იყოს პროლეტარიატის ტაქტიკა დღევანდელ ვითარებაში.

რუსეთის ობიექტივურ პოლიტიკურმა მსვლელობამ საერთო მოძრაობის მიზნათ წამოაყენა სახელმწიფოს ძალაუფლების დაპყრობა და სრულ-უფლებიანი საერო დამფუძნებელი კრების მოწვევა. შეგნებულმა პროლეტარიატმა, სოციალდემოკრატიამ, ეს მიზანი უნდა გადააქციოს საერთო სახალხო ლოზუნგათ და რაც შეიძლება დააჩქაროს სახალხო გამოსვლა, რადგან პოლიტიკური მდგომარეობა უაღრესათ ხელ-საყრელია. პროლეტარიატმა უნდა შეირჩინოს რევოლიუციონური თაოსნობა, მაგრამ მან არ უნდა გადასდგას არც ერთი ნაბიჯი, რომელიც მას ჩამოაშორებდა ბურჟუაზიის მებრძოლ ელემენტებს და საერთო თანაგრძნობას. მას კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ დღევანდელ რევოლიუციას პროლეტარიატი საკუთარ ძალ-ღონით ვერ გაატარებს., დღევანდელი რევოლიუცია ვერ მოხდება, თუ მას აქტიურათ არ დაეხმარება ოპოზიციონური და დემოკრატიული ბურჟუაზია. მაგრამ არა რომელ შემთხვევაში პროლეტარიატი არ უნდა შეეცადოს ბურჟუაზიულ მასსაში გათქვეფას, არა რომელ შემთხვევაში მან თავის კლასიური, სოციალდემოკრატიული ბაირაღი ძირს არ უნდა დასწიოს, რადგან ამით აზარალებდა როგორც თავის თავს, ისე მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობას. დღევანდელ რევოლიუციის ძლიერებას და ნაყოფიერებას განსაზღვრავს სწორეთ მუშა ხალხის მოძრაობა. ამიტომ იგი მუდამ უნდა გამოდიოდეს, როგორც დამოუკიდებელი კლასობრივი ძალა; მხოლოდ იგი (პროლეტარიატი) ყოველ განსაზღვრულ სარევოლიუციო გამოსვლასა და მოქმედებაში უნდა შეთანხმდებოდეს ყველა იმ ოპოზიციონურ ბურჟუაზიულ პარტიებთან, რომლებიც კი მზათ არიან ამ გამოსვლასა და მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ.

ერთი სიტყვით უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ ტაქტიკურ წესით, რასაც გერმანელი ამხანაგები უწოდებენ: getrennt marschieren zusamen schlagen! ცალკე სიარული, მაგრამ საერთო იერიში საერთო მტრის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის უკანასკნელ ბასტილიის ასაღებათ და საერო დამფუძნებელ კრების მოსაწვევათ!

## ახალი ამბები

**ქუთაისიდან** გვწერენ, რომ იქ 8 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე, შუა ბულვარში ვიღაცას რევოლვერი უსვრია ჩეჩენ გოროდოვოი ახმატუროვისთვის, რომელიც ცნობილია იქ, როგორც ხულიგანი. გოროდოვოი უვნებლათ გადარჩენილა. პატრულებს დაუჭერიათ მსროლელი კისერში და ბულვარის ბოლოზე ქუჩაში ამ დროს შემთხვევით მიმავალ უიარაღო სალდათებს შეუპყრიათ და გაბოროტებულ გოროდოვოისთვის გადაუციათ, რომელმაც სალდათების დახმარებით პოლიციაში მიყვანამდე იყარა ჯინი მსროლელზე და ხანჯლის და თოფის კონდახის ცემა-ტყეპით მიიყვანა პოლიციაში და აქედან ციხეში.

დაჭერის დროს ბულვარში სროლა ასტყდა, რის გამოც გარშემო მაღაზიები სულ ერთიანათ დაიკეტა.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ გუშინ, ათ აგვისტოს მიხაილოვის პროსპექტზე მოვაჭრე **ტუშურიანცს უმოწყალოთ უცემია** თავის მოსამსახურე კარაპეტ მელქუმშვილისთვის და ბოლოს წიხლიც ჩაურტყამს ამ სიტყვებით: „წადი და სადაც გინდა მიჩივლეო“. მიზეზი ის ყოფილა, რომ საწყალ ბიჭს ისე ვერ დაუგვია ქვაფენილი, როგორც ეს თავგასულ აღას უნდოდა.

✦ კვირას, 13 აგვისტოს, ვეტცელის თეატრში **დანიშნულია ქართული წარმოდგენა.** წარმოდგენილი იქნება „ერთობა“ ვოდ. ერთ მოქმედებათ ა. ბაქრაძისა და ახალი ორიგინალური პიესა „თფილისის ჯურღმულები“, სცენები თფილისის ცხოვრებიდან, მისივე. იმედია საზოგადოება ბლომათ დაესწრება ამ წარმოდგენას.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ თფილისის **თორნის პურის მცხობელთა კავშირი** ბოიკოტს უცხადებს ილიკო სომხურიძეს და მეთოდე გძელიძეს, რომლებსაც მიხაილოვის ქუჩაზე აქვთ პურის საცხობი, იმ დრომდე, სანამ ისინი არ დააკმაყოფილებენ, მათ მიერ უმიზეზოთ დათხოვნილ მუშებს.

✦ 7 აგვისტოს, ღამით ვიღაცებს გოლოვინის პროსპექტზე რამდენიმე ცალი დუმის მემარცხენე პარტიების გამოცემული **ჯარისა და ფლოტისადმი მოწოდებები გაეკრა.** პოლიციას დილით ყველგან აუგლეჯია, მხოლოდ ერთ ადგილას, ყოფილ სასტუმრო „როსია“-ს ახლო ვერ შეემჩნია და დარჩენოდა. როცა ხალხი შეგროვდა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია პოლიციამ, ხალხი გარეკა და მოწოდება აახია. ამის გამო ბოქაულს ზოგიერთ მეეზოვეებისთვის საყვედური გამოუცხადებია.

✦ გუშინ წინ, 9 აგვისტოს, ვერის ბორანთან ერთი სალდათი მიშველებია ამხანაგს, რომელიც წყალმა გაიტაცა ბანაობის დროს. ამხანაგი გადაურჩენია, მაგრამ **თვითონ დამხრჩვალა.** გვამი ბევრი ეძებეს მაგრამ ვერ იპოვნეს.

✦ ორშაბათს, 14 აგვისტოს, თფილისის **საოლქო სასამართლოს** 1-ლ განყოფილებაში გასარჩევათ დანიშნულია საქმე გორის მაზრის მცხოვრების თავ. გ. ზ. მაჩაბელისა, რომელსაც წინათ განზრახულ მიზნით სხვა პირებთან ერთათ, რომელნიც გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა, ტყვიავის პოსტის საერობო დარაჯებზე თავდასხმა და იარაღის ართმევა ბრალდება.

✦ ადგილობრივ გაზეთებში ამას წინეთ სწერდენ, რომ ბარონ კუჩენბახმა თავის ქარხნისთვის ჩრდილოეთ კავკასიიდან მუშები დაიბარა, რომელთაც წინათვე დაუდო პირობა, ხოლო როცა მუშები ჩამოვიდენ, კუჩენბახმა პირობა შესცვალაო და სხვ. ამ საქმის განსახილველათ ამ ჟამათ დაინიშნა **მედიატორები.** პირველი სხდომა მედიატორებისა მოხდა გუშინ. მთელი სხდომა მოუნდა ორი საკითხის განხილვას: 1, რომ მედიატორებმა უნდა გაიგზავნოს კუჩენბახის ქარხანაში, ბორჩალოს მაზრაში; 2, როგორ უნდა მოეწყოს საქმე, რომ მედიატორების გადაწყვეტილება ორივე მხარესთვის სავალდებულო იყოს.

✦ თფილისის **მეჩექმეთა რწმუნებულები** სთხოვენ ქალაქის თავის მოადგილეს ვ. ჩერქეზიშვილს—იშუამდგომლოს გენ.-გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ მათ შეიკრიბონ თავიანთ საჭიროებაზე მოსალაპარაკებლათ.

✦ 9 აგვისტოს ქალაქის გამგეობის დარბაზში ქალაქის თავის მოადგილის ვას. ჩერქეზიშვილისა და საბჭოს მდივნის სტეფ. პრელოშვილის თანადასწრებით თფილისის აბანოების მოიჯარადრეთ, მათ მოსამსახურეებს და მექისეებს **კრება ქონდათ.** აღებთაგან უმეტესობა დასთანხმდა დააკმაყოფილოს მოსამსახურეთა მოთხოვნები. მხოლოდ ერთ საკითხში ვერ მორიგდენ,—სახელდობრ რომელი დღე უნდა ეუქმათ კვირაში. აღებს უნდოდათ პარასკევი დაენიშნათ, მაგრამ მაჰმადიანი მუშები არ დათანხმდენ და კვირის დღესასწაულობის საჭიროებას ამტკიცებდენ, რადგან ამით სოლიდარობას უმტკიცებენ ქრისტიან მუშებს. აღები მუშებს არ დაეთანხმენ და ამის გამო გაფიცვა გრძელდება.

✦ ამ დღეებში **სად. მარტყოფანში** მატარებელ № 42-დან ვიღაც უცნობებმა

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ.

ჩამოაგდეს ბორჯომის პოსტის საერობო ღარაჯი, ბორჩალოს მაზრის მცხოვრები მამედ-ოღლი. მამედ-ოღლი უცნობებმა შემდეგ დანით მძიმეთ დასჭრეს თავში. ამის შემდეგ მ ტარებელი დაიძრა, მაგრამ მაინც ვერავინ ვერ დაიჭირეს. რამდენიმე საათის შემდეგ მამედ-ოღლი შორაპნის საავათმყოფოში გაგზავნეს.

✦ **სად. გრაკალში** მატარებლიდან ჩამოვარდნილა გორის მაზრის მცხოვრები გლეხი ნორიაშვილი. ნორიაშვილს ორივე ფეხი მძიმეთ აქვს დაშავებული.

✦ გუშინ ჩვენ გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ ქალაქის თავის მოადგილემ **წინადადება** მისცა ქალაქის „სააუქციონო“ ზალის გამგეს ანგარიში წარმოუდგინოს და სხვ. ამ საგნის შესახებ ახლა ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზალის ანგარიშების არევის გამო, გამგეს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, დაენიშნა რევიზია და ქალაქის გამგეობაც შეპირებია, მაგრამ რაღაც მიზეზით, რევიზია დღემდე არ მომხდარა, გამგე კი რევიზიის მოლოდინში ზალის ანგარიშს არ ადგენდა. 9 აგვისტოს, სანამ ქალაქის თავი წინადადებას მიიღებდა, სააუქციონო ზალის გამგემ ქალაქის კასაში შეიტანა ანგარიშის ერთი ნაწილი.

✦ 7 აგვისტოს, ღამით **ქუთაისში გასტეხეს** ფართლეულობით მოვაჭრე კირაკოზოვის მაღაზია და საქონელი წაიღეს. ქურდებს გაუტეხიათ მეზობელ ზაქარია კოკოჩაშვილის ეზოს ალაყაფის კარები, და იქიდან გადასულან თუმანოვის ეზოში და გადმოუზიდნიათ საქონელი. ქურდები აღმოაჩინეს.

✦ ურერიდან ამბავი მოვიდა, რომ იქ პოლიციას **დაუჭერია** საქმოსთ წასული **კანტორა „კოლხიდაში“ მომუშავე ისაკოჯიქია**, რომელმაც წაიღო მრავალი სახალხო ქართული წიგნები და გაზეთები გასაყიდლათ. პოლიციელებს ყველა ეს წიგნები და გაზეთები მისთვის წაურთმევიათ და ბილეთის მოსვლამდი დიდის ხვეწნით თავდებ-ქვეშ გაუშვიათ.

✦ 9 აგვისტოს სხდომაზე უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტთა ბიურომ **შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა**: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ 1) ყველა ნაწილებს არა ყავთ თავიანთი წარმომადგენლები სარევიზიო კომისიაში, 2) რომ მესამე ნაწილში ყველა მომუშავეებმა, თავიანთი სამუშაო გაათავეს და სხვა და სხვა ნაწილებში ჩაერიცხენ და აგრეთვე გადამწერლებმა და სანიტარებმაც მეორე ნაწილში გაათავეს სამუშაო და ჩაირიცხენ სხვა ნაწილში და 3) რომ 8 სარევიზიო კომისიამ სახელი გაიტეხა თავის სხდომაზე შაბათს, 5 აგვისტოს ქალაქის სამმართველოში და მით აიძულა ზოგიერთი ნაწილები, გაეწვიათ თავიანთი წარმომადგენლები, ბიურომ თავის სხდომაზე 9 აგვისტოს, უთითებს რა არა პროპორციონალურ წარმომადგენლობით არჩევნებზე, დაადგინა: მოახდინოს ახლანდელი სარევიზიო კომისიის რეორგანიზაცია, მოახდინოს ახალი არჩევნები, ყოველ ნაწილში 30 კაცზე ერთი წარმომადგენელი.

✦ **ბაქოდან** იტყობინებიან: 8 აგვისტოს როდესაც მატარებელი № 23 საბუნჩისკენ დაიძრა, უბილეთო მგზავრების ერთი ნაწილი შეეცადა ვაგონებში ადგილი დემონსტრატიულათ დაეჭირა. სალდათებმა მოინდომეს მათი გარეკა. ერთმა მათგანმა შტიკით დასჭრა მუშა ამბარცუმ ბახთიევი. ამის შემდეგ მუშებმა პროტესტის ნიშნათ გაფიცვა გამოაცხადეს და გენერალ გუბერნატორს თავისი მოთხოვნები წარუდგინეს, სადაც სხვათა შორის მოითხოვენ ამის შემდეგ სპეციალური მატარებლები შემოიღონ მათთვის, გააუქმონ „ოხრანა“, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები გაფიცვას აგრძელებენ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა კავკასიის ნამესტნიკს წარმოუდგინოს სია იმ პირთა, რომელთა დანიშვნას სასურველათ სცნობს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ადგილზე.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა უყურადღებოთ დასტოვა არხეოგრაფიულ კომიტეტის თავმჯდომარის მიხაილოვის თხოვნა, რომელმაც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ადგილი ითხოვა.

✦ როგორც გადმოგვცეს ფოთში ამ დღეებში პოლიციას 24 თოფი და 90,000 პატრონის გილზი დაუჭერია. თოფები საუფლისწულო მამულთა გამგეობის ყოფილა და ამიტომ უკან დაუბრუნებიათ, ხოლო პატრონის გილზების შესახებ გამოძიება სწარმოებს.

---

**შეცთომის გასწორება**: ჩვენი გაზეთის მე 6№ ახალ-ამბებში ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ ვაგზლის ქუჩაზე ვახნიანსკის რკინის საწყობში კანტორის გამგეს, ლაპარაკი მოუვიდაო და სხვ. ეს ამბავი მომხდარა არა ვახნიანსკისა, არამედ „ბალკის“ ამხანაგობის რკინის საწყობში.

### როგორ მარცხდება ბლანკიზმი? *)

რა იყო? რა მოხდა? მეტად საინტერესო და საგულისხმოა „ბალშევიკების“ უკანასკნელი დროის ისტორია და აქეთკენ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

„ბალშევიკები“ პარტიაში დემოკრატიულ ორგანიზაციას უარყოფდენ და პროფესიონალურ რევოლიუციონერთა ორგანიზაციით მუშათა პარტიაზე გაბატონებას ლამობდენ. რევოლიუციამ მათი ორგანიზაციული „პლანები“ ჩაფუშა და მათ თვით მათივე ლიდერის ლენინის პირით დემოკრატიზმი მიაღებინა. „ბალშევიკები“ დუმის დანგრევას ბოიკოტით ცდილობდენ და ხალხს შეიარაღებულ აჯანყებისკენ იწვევდენ, ცხოვრებამ მათი ქადაგება უარყო და აჯანყების „პლანებიც“ გაანადგურა. ისინი დუმის ხულიგანობას წინასწარ მეტყველებდენ და მასში მონაწილეთ ხალხის მოღალატეთ ალიარებდენ; უკანასკნელ დროს კი ისინი თავის რეზოლიუციაში პეტერბურგისა და მოსკოვში მუშათა კლასს ურჩევდენ სოციალდემოკრატიული ფრაქციის გარის დაჭერას და ამ მიზნით მუშათა კომიტეტების დაარსებას. „ბალშევიკები“ ამტკიცებდენ, რომ დუმა რევოლიუციას წინ ეღობება, მას ნელ-ნელა ასუსტებს და მის მოსპობას ხელს უწყობსო. ჩვენ კი დავინახეთ, რომ მანიფესტი გამოსცა და ხალხს წინადადებით მიმართა მთავრობას სალდათობისა და გადასახადების ბოიკოტით უპასუხეთო. ამით დუმამ ჩვენი რევოლიუციონური მოთხოვნილება მიიღო და მით რევოლიუციის იარაღი შეიქნა.

ამნაირათ, რასაც „მეხშევიკები“ ამბობდენ, სავსებით გამართლდა. „ბალშევიკების“ ყველა ტაქტიკურ მოსაზრებას კი ცხოვრებამ საშინლათ დასცინა და მით „ბალშევიკური“ ფრაქციის პარტიაში გათქვეფა მოგვიახლოვა. ასეთია მსჯავრი ცხოვრების, ასეთია ლოღიკა რევოლიუციის. მაგრამ რამდენათ ახლოვდება „ბალშევიკური“ ტაქტიკის პარტიაში სრული განადგურება, მით მატულობს მათი სურვილი ცხოვრებას წინ გადაეღობონ და თავისი ფრაქციული არსებობა გაიხანგრძლივონ. ამ მხრით გაზ. „ახალ ცხოვრებამ“ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. სჩანს „ბალშევიკების“ მდგომარეობა სავსებით შერყეულა, თუ კი იძულებული არიან მოწინააღმდეგეთა დასამცირებლათ ერთად ერთი გზა—ინსინუაცია აირჩიონ. ამხ. კობა „ახალი ცხოვრების“ 14 №-ში თამამათ გაიძახის: „ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი (ე. ი. ჩვენ. პ.) განხეთქილებისკენ ეწევიან ამხანაგებს“, ე. ი. პარტიის რასკოლს ქადაგებენო. ამხ. კობას წერილი რომ „ბალშევიკების“ ოფიციალურ ორგანოში არ იყოს მოთავსებული, ჩვენ მის ინსინუაციებზე კრინტსაც არ დავძრავდით. ახლა კი ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ, როგორ ვუყურებთ პარტიის მთლიანობას ამჟამათ.

ჯერ კიდევ გასულ წელს, როცა „ბალშევიკები“ სიეზდის მეოხებით „მენშევიკების“ დათრგუნვას ცდილობდენ და თავისი „პარტიული“ მოქმედება პარტიის რასკოლით დააბოლოვეს, ჩვენი ფრაქცია პარტიის ერთობას იცავდა და რასკოლს აშკარათ ეწინააღმდეგებოდა. ჩვენ ვამბობდით: პროლეტარიატის ძლევამოსილი მოძრაობა იაკობინელთა მცირე ჯგუფს გათქვეფს პარტიაში და მას მარქსისტულ ნიადაგზე დააყენებსო. ამიტომაც იყო ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით გათიშვა-განხეთქილებას. ასეთი იყო ჩვენი შეხედულება მაშინ, როცა „ბალშევიკები“, ადგილობრივ კომიტეტებში გაბატონებული, პარტიის უმრავლესობას შეადგენდენ ქაღალდზე მაინც. მასაქეთ მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა. მაშინდელი უმრავლესობა შემაერთებელ სიეზდზე საშინლათ დამარცხდა, ამით მარქსისტული პოზიცია, რომელსაც ჩვენ ვადგივართ, შესაფერათ განმტკიცდა. დღეს ცხოვრებამ „ბალშევიკურ“ ტაქტიკას ძირი სავსებით გამოუთხარა. ამ ჟამათ „ბალშევიკების“ პარტიაში სრული გათქვეფა, როგორც წინეთ ველოდით, ახლო მომავლის საქმეა. ამ დროს მოდის ამხ. კობა და გადმოგვძახის: „თქვენ რასკოლნიკებო, ფრთხილათ“! ახსოვდეთ ჩვენ „ბალშევიკებს“, რაც მეტს ეცდებიან ისინი ჩვენი პოზიციის კრიტიკის მაგიერ ინსინუაციებით ფონს გასვლას, მით ადრე ჩაბარდებიან წარსულს, თავისდა უნებურათ პარტიის მარქსისტულ ნიადაგზე განმტკიცებას ხელს შეუწყობენ.

მიუხედავათ ინსინუაციებისა და კითხვის ბანზე აგდებისა, *) ჩვენი „ბოლშევიკები“ გრძნობენ, რომ ბრძოლის ასეთი იარაღით შორს ვერ წავლენ და ცდილობენ ჩვენი საბუთები უარყონ და თავისი ტაქტიკა მარქსისტულათ გაასაღონ. ამის ცდაშია ამხ. გ. ქ. „ახალი ცხოვრების“ 13 №-ში და კობა—14-ში. ისინი თამამათ გაიძახიან: ჩვენ ბლანკისტები არა ვართ, რადგან ენგელსის სიტყვით „ბლანკი სოციალიზმს გრძნობებით ემხრობოდაო“, ე. ი. ბლანკი შეგნებული სოციალისტი არ იყო, ჩვენ კი სოციალისტები ვართო. მერე ვინ არის ამის წინააღმდეგი? ორში ერთი: ან ჩვენი ამხანაგები ტაქტიკას პროგრამისაგან ვერ არჩევენ, ან გონიათ შეუძლებელია სოციალდემოკრატიული პროგრამის მიმდევრებმა ბლანკისტური ტაქტიკა აწარმოვონ. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა გავუმეორთ, რომ დღესაც ბევრია სოციალდემოკრატი, რომელიც მარქსისტულ ტაქტიკას უარყოფს და ან რეფორმიზმის გზას ადგება (ჟორესისტები საფრანგეთში, ბერნშტეინიანცები გერმანიაში, ბელგიის პარტიის დიდძალი უმრავლესობა და სხვ.) და ან ბლანკისტურ ტაქტიკას აწარმოებს (ყოფილი ბლანკისტები საფრანგეთში, რომელნიც ამ ბოლოს გედისტებს მიემხრენ).

ჩვენსა და „ბალშევიკებს“ შორის[illegible] უთანხმოება მხოლოდ ტაქტიკას ეხება. ჩვენც ტაქტიკაში მიგვაჩნია ისინი ბლანკისტებათ. ამ მხრივ საინტერესოა თვით „ბალშევიკების“ აზრი ტაქტიკაზე.

რას ვამბობდით ჩვენ?

რას ამბობს „ბალშევიკი“ გ. ქ.?

ჩვენ ვამბობდით: „ბალშევიკები გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ ხალხი შეიარაღებული აჯანყებისთვის მზათაა და ამიტომაც უპირველეს ყურადღებას მოწინავე რაზმთა გაწვრთნა-შეიარაღებას აქცევენო“.

ამხ. გ. ქ. ამბობს: „რევოლიუციის დროს მუშათა კლასის პოლიტიკური აღზრდის და ორგანიზაციის ცენტრი პროფესიონალური კავშირების და ლეგალური საზოგადოებისკენ კი არა—რევოლიუციურ არმიაში, შეიარაღებულ აჯანყებასა და დროებით მთავრობაში გადავიტანოთ...

რევოლიუციის დროს პროლეტარული ბრძოლის არმიის შედგენა და შეიარაღებული აჯანყება უფრო აღრმავებს კლასიურ შეგნებას, ვიდრე პროფესიონალური კავშირები და ლეგალური ბრძოლა“ *).

გამოდის, რომ მუშათა მოძრაობის მთავარი საკითხი რევოლიუციის დროს პროლეტარიატისა და ნახევრად-პროლეტარების ფართე მასსის მოძრაობა კი არა, აჯანყების მოწყობა ყოფილა; კლასიური შეგნების გაფართოებას ხელს უწყობს მუშათა მასსობრივი მოქმედება კი არა, ეკონომიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე, არამედ რევოლიუციური არმიის შექმნა და მისი გაწვრთნა-შეიარაღება, ე. ი. კლასიურ შეგნებას თოფის ხმარება ავითარებსო. ამას შემდეგ „ბალშევიკები“ კიდევ გაიძახიან ჩვენ ბლანკისტები არა ვართო!! პროლეტარიატის პარტიამ მუშათა კლასში აგიტაცია-პროპაგანდას თავი უნდა მიანებოს, ის მეორე ადგილზე უნდა დააყენოს და მით თავისი უმთავრესი მიზანი უნდა დაივიწყოს—აი დასკვნა ბალშევიკური ტაქტიკის. რადგან ბურჟუაზიული რევოლიუციის დროს სოციალდემოკრატიის ვალია აჯანყების მოწყობა, ცხადია წამდაუწუმ, ყოველგან და ყოველთვის შეიარაღებულ აჯანყებაზე უნდა ყვიროდე და მთელი ტაქტიკაც ამას დაუპირდაპირო. აი ასე იქცევიან „ბალშევიკები“ და ამიტომაც ვამბობდით ჩვენ, რომ მათი ტაქტიკა იაკობინური ტაქტიკის გამეორებაა, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიის ტაქტიკას მუშათა პარტიაში გადმოტანაა.

ამნაირათ „ბალშევიკებმა“ სოციალდემოკრატიული ტაქტიკა უარყვეს და ბურჟუაზიულ რევოლიუციაში აჯანყების „მოწყობას“ შეუდგენ, ამ მხრივ ბლანკიზმის გზა[illegible]

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა სხვადასხვა მიზეზების გამო. რედ.

*) ამ მხრივ საკვირველია ამხ. კობას საქციელი. ყველა თავის წერილებში, სადაც იგი კითხვას გაურბის და თავის გაუგებრობას ამხ. ბრადიაგას და ნ. ხ—ს.

*) „ახალი ცხოვრება“ № 13.

---

# ფელეტონი

—:—

**სხვადასხვა სახელმწიფოების კონსტიტუცია**

(თარგმანი *)

ამერიკის კონსტიტუციონური წყობილების გასაგებათ საჭიროა რამდენიმე სიტყვა იქაურ სასამართლოს შესახებაც ვთქვათ.

ევროპის სახელმწიფოების უმეტეს ნაწილში სასამართლო დიდ როლს არა თამაშობს. საფრანგეთში ბევრ შემთხვევაში ის ადმინისტრაციის ემორჩილება. „კანონის წინაშე ყველა თანასწორია“, ამბობს კონსტიტუციის სიტყვები, მაგრამ სიტყვები სიტყვებათ რჩებიან, სანამ არ არსებობს საშუალება მათ განსახორციელებლათ; ისინი თვალთმაქცობას წარმოადგენენ, როცა არსებობენ მათთან შეუსაბამო დაწესებულებანი. ასეთი დაწესებულებანი არსებობენ საფრანგეთში და ევროპის სხვა ნაწილებში, მათ ადმინისტრატიული უფლების დაწესებულება ქვიან. ამ უფლების ძალით დიდი განსხვავებაა უბრალო მოქალაქეთა და მოხელე პირთ შორის. ორი მოქალაქის საქმის გასარჩევათ ერთგვარი სასამართლო არსებობს, როცა საქმე მოქალაქესა და რომელიმე თანამდებობის პირს ეხება—სულ ერთია უბრალო პოლიციელი იქნება ის თუ წარჩინებული პირი—ამის გასარჩევა სულ სხვაგვარი სასამართლო არსებობს. პირველ შემთხვევაში მსაჯულები დამოუკიდებლათ მოქმედებენ, მეორეში კი ვერა, რადგან მათთან ერთათ საქმის გარჩევაში ადმინისტრაციაც ღებულობს მონაწილეობას. კონსტიტუციის სიტყვების ძალით სასამართლოს ნება აქვს კანონი ასე თუ ისე ახსნას ყოველ კერძო შემთხვევაში. მაგრამ ადმინისტრატიული სასამართლოს არსებობა მსაჯულს ნებას არ აძლევს უკანონო მოქმედებას უკანონო უწოდოს, როცა საქმე მოხელე პირს შეეხება, სახელდობრ მის მოქმედებას „თანამდებობის ასრულების დროს“. ცხადია, რომ „კანონის წინაშე ყველას თანასწორობა“ ცარიელი სიტყვა ყოფილა. პოლიციას ნება ეძლევა თავის საქციელს თვითონ დასდოს მსჯავრი.—რა იქნება მაშინ, რომ კანონმდებლებმა კონსტიტუციის წინააღმდეგ კანონი გამოსცენ? კონსტიტუცია ამის შესახებ არას ამბობს, ცხოვრება კი ერთ მაგალითსაც არ იძლევა, რომ რომელიმე მსაჯულებს კონსტიტუციის წინააღმდეგი კანონისთვის კონსტიტუციის წინააღმდეგი ეწოდებიათ. ეს საფრანგეთში. ინგლისში ცოტა სხვანაირათ არის საქმე. იქ არ არსებობს ფორმალური განსხვავება ჩვეულებრივ და კონსტიტუციონურ კანონებს შორის, ამიტომ სასამართლოს ფართე უფლება აქვს მინიჭებული ახალი კონსტიტუციონური ცნებების შესაქმნელად. ამბობენ, რომ ინგლისის კონსტიტუცია ერთი მხრით პარლამენტის აქტებისაგან შესდგება, ხოლო მეორე მხრით სასამართლოს გადაწყვეტილებებისაგან. რომელიმე ახალი საკითხი სწყდება იმის მიხედვით, თუ როგორ ახსნის მას სასამართლო. მაგალითათ, ქუჩის დემონსტრაციები რომ ინგლისშიც იმ სახით მოხდეს, როგორც ეს რუსეთში ხდება, მაშინ მის დასაკანონებლათ საკმაო იქნება ორჯერ-სამჯერ ეს საქმე სასამართლომ გაარჩიოს და დემონსტრანტები გაამართლოს. საჭიროა მხოლოდ, რომ მსაჯულებს ნება ქონდეთ მშვიდობიანი დემონსტრაცია რუსეთის იმპერიის კანონებს დარღვევათ არ ცნიარონ. სანამ ცენზურა არსებობდა ინგლისში, ხშირად სდევნიდენ სასამართლოს წესით მწერლებს და გამომცემლებს; მაგრამ სასამართლო მათ ამართლებდა და ამ კანონებს ძალა დაუკარგა; ახალი კანონი აღარ შემოუღიათ, ასე რომ ფაქტიურათ მწერლობის თავისუფლება დამყარდა. სასამართლოს განჩინებამ გადასწყვიტა პირველათ აგრეთვე საკითხი მონობის აკრძალვის შესახებ. ერთი სიტყვით, ინგლისის კონსტიტუციის ბედ-იღბალი უმთავრესათ მსაჯულებზე ჰკიდია. ყოვლის შემძლე პარლამენტს ერთი ძლიერი იარაღი აქვს მსაჯულების წინააღმდეგ საბრძოლველათ: სასამართლოს რომელიმე დადგენილების შემდეგ მას შეუძლია ამ დადგენილების პირდაპირ უარისმყოფი კანონი გამოსცეს. ფორმალურათ მსაჯულები ახალ კანონს უნდა დაემორჩილონ; მაგრამ ნამდვილათ კი შეუძლიათ კანონს გვერდი აუხვიონ და ცხოვრებაში არ გაიყვანონ. ასეთ შემთხვევაში საქმეს საბოლოოთ თვითონ საზოგადოება სწყვეტს. ასეთი ბედი ეწვია კანონს მწერლობის შესახებ და სხვა მრავალ დიდმნიშვნელოვან კანონს. სასამართლოს ადმინისტრაციის ალაგმვაც შეუძლია. ყველა უკანონოთ დატუსაღებულს შეუძლია მოითხოვოს განთავისუფლება და მსაჯულთან გაგზავნა, თან უნდა მიეცეს ქაღალდი—სახელათ „რიტ“ (rith) ამ ქაღალდს აძლევს სასამართლოს ერთ-ერთი უმაღლესი ინსტანცია დატუსაღებულის ან მისი ვექილის თხოვნით. 1798 წ. ირლანდიელ რევოლიუციონერს ვოლფ ტონს სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა იმისთვის, რომ ის ფრანგებს ირლანდიის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა. იმ დღეს, როცა ვოლფი უნდა ჩამოეხრჩოთ, სამეფო სასამართლოს ირლანდიის განყოფილებას მოსთხოვეს „რიტ“ მისი განთავისუფლების შესახებ. მოტივათ იმას ასახელებდენ, რომ ვოლფ ტონი საფრანგეთის ჯარის აფიცერია და არა ინგლისის და ამიტომ სამხედრო სასამართლოს მისი დასჯის ნება არ ქონდაო. თუმცა რევოლიუციონური დრო იყო და ინგლისელები სიძულვილით უყურებდენ ირლანდიელ აჯანყებულთ, მაგრამ „რიტ“ მაინც მისცეს. შემდეგ თავში ამ კითხვას ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ. ჯერჯერობით საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ინგლისში სასამართლოს ფაქტიურათ ნება აქვს დამოუკიდებლათ იმოქმედოს. მაგრამ რაც ინგლისში არსებობს, როგორც ჩვეულება, ამერიკაში ის ფორმალურათ არის დაწესებული. რადგან ქვეყანას კონსტიტუცია უნდა განაგებდეს, მის ცხოვრებაში გადამტანთ საეჭვო შემთხვევებში დიდი უფლება უნდა ქონდეთ მინიჭებული. ამ უფლებით არის აღჭურვილი ამერიკაში ეგრეთ წოდებული „უმაღლესი სამსჯავრო“. არავინ არ არის ვალდებული ადმინისტრაციას დაემორჩილოს, თუ მისი განკარგულება კონსტიტუციას არ ეთანხმება, მაგრამ ამ კითხვის გადაწყვეტის უფლება არც კანონმდებლებს აქვთ და არც მთავრობას. ისინი თვითონ არიან დაინტერესებული ამ საქმეში და იმიტომ მესამე მხარეს უნდა ეკითხოს—სახელდობრ „უმაღლეს სამსჯავროებს“. თვითეულ შტატში ცალკე უმაღლესი სამსჯავრო დაწესებული, ყველა შტატებისთვის კი დაწესებულია უმაღლესი ფედერალური სამსჯავრო, რომელიც ფედერალური კონსტიტუციის კითხვებს არჩევს.

ინგლისში, როგორც ვსთქვით, ჩვეულებრივ კანონებსა და კონსტიტუციას შორის ფორმალური განსხვავება არ არსებობს. თუ ორი ერთი მეორის წინააღმდეგ კანონი არსებობს, მსაჯულმა უკანასკნელათ გამოცემული უნდა მიიღოს. ევროპის სხვა ქვეყნებში კონსტიტუციონურ კანონებს უპირატესობა ეძლევათ. ამერიკაში კანონები ოთხ რიგათ იყოფებიან: 1, თვითეული შტატის ჩვეულებრივი კანონები; 2, თვითეული შტატის კონსტიტუცია; 3, შეერთებულ შტატების ფედერაციის კანონები და 4), ფედერაციის კონსტიტუცია. უმაღლესი სამსჯავრო ვალდებულია მთელი ფედერაციის კანონები ცალკე შტატების კანონებზე მაღლა დააყენოს და კონსტიტუციონური კანონები—ჩვეულებრივზე მაღლა. სადაო კითხვის გადაწყვეტის დროს მან სახელმწიფოს ძირითადი კანონებით უნდა იხელმძღვანელოს. თეორეტიულათ ასე უნდა მოხდეს ყველგან, სადაც დაწერილი კონსტიტუცია არსებობს; მაგრამ პრაქტიკულათ ეს ბევრგან არ სრულდება, რადგან[illegible] არ არსებობს საჭირო დაწესებულება. ამერიკაში ასეთი დაწესებულება არსებობს და[illegible] მისი მოვალეობაც კონსტიტუციაში პირ[illegible]დაპირ ნაჩვენებია. თუ საზოგადოება „უმაღლესი სამსჯავროს“ ახსნით არ დაკმაყოფილდა, მაშინ იწყება აგიტაცია და საქმე კონსტიტუციის გადასინჯვით თავდება: გ[illegible] უგებარ მუხლს საჭირო შენიშვნას უკეთე[illegible]ბენ. ამ რიგათ ამერიკაში საქვეყნო საქ[illegible]მეებს სახალხო პარტიები აწარმოებენ.

აი ორიოდე მაგალითი უმაღლესი სა[illegible]სჯავროს გადაწყვეტილებისა. ერთი მო[illegible]ქალაქე მოწვეულ იქნა მოწმობის [illegible] მოსარჩელეთ წარმომადგენლების პალა[illegible]ტის მიერ. მან ზოგიერთ კითხვებზე პა[illegible]სუხი არ აგო, რისთვისაც პალატამ ის დაატუსაღებინა. მოქალაქემ დატუსაღე[illegible]ბა უკანონოთ იცნო და ზარალის ალაგ[illegible] მოითხოვა. უმაღლესმა სასამართლომ საქმე მოქალაქის სასარგებლოთ გადასწყვიტა, რა[illegible]დგან კონსტიტუცია ნებას არ აძლევს კა[illegible]ნონმდებლებს ვინმე დასაჯონ იმისთვის, რომ მან მათ მოთხოვნილებას საკმაო ყუ[illegible]რადღება არ მიაქცია.

შეუძლია თუ არა კერძო პირს პასუხის გებაში მისცეს მთელი სახელმწიფო, თუ უკანასკნელმა რაიმე დადებული პირობა დაარღვია? ეს კითხვა პირველათ 1793 წ. იქნა აღძრული, როცა ვინმე ჩისხოლმმა შტატი გეორგია პასუხის გებაში მისცა ფულ[illegible]ბის თაობაზე. გეორგიამ, როგორც შტატ[illegible], ითაკილა კერძო პირთან საქმის დაჭერა, სასამართლოში არ გამოცხადდა. უმაღლე[illegible] სასამართლომ კონსტიტუციის აზრის ძალ[illegible]ის გაამტყუნა. ის განჩინებას დაემორჩილ[illegible] მაგრამ ძლიერი აგიტაცია გაჩნდა იმის შესახებ, თუ როგორი უფლება უნდა ქონდ[illegible] ცალკე შტატს და საქმე კონსტიტუ[illegible] გადასინჯვით და მე-11 დამატების შეტ[illegible] გათავდა; ამ დამატების ძალით „შეერთე[illegible]ლი შტატების სასამართლოს“ არ შეუძ[illegible] მსჯელობა იქონიოს, „როცა რომელ[illegible]

*) იხ. „ტალღა“ № 10.

ბაადგენ და მუშათა პარტიას ამ გზითვე ჰრეკავან. როგორც პლანკი გაურბოდა ლეგალურ პოლიტიკურ ბრძოლას და საიდუმლო ორგანიზაციის ამუშავებით რევოლიუციის მოხდენას ლამობდა, ასევე იქცევიან ჩვენი ბალშევიკებიც. ისინი დუმასა და მის მზგავს დაწესებულებებს გაურბიან, პროფესიონალური კავშირების მნიშვნელობას ამცირებენ და საიდუმლო ორგანიზაციის—„რევოლიუციური არმიის“ მეოხებით რევოლიუციის მოხდენას ესწრაფვიან. აი ეს არის რევოლიუციის „გაკეთება“, რომელსაც ასე დასცინოდა ფრ. ენგელსი. თუ ლეგალური საშუალებით არ ისარგებლე, ფართე მასაში არ იმოქმედე, ცხადია მარტო „რევოლიუციური არმია“ შეგვრჩება და რევოლიუციის „გაკეთებაც“ მათი ენერგიისა და გამბედაობისაგან იქნება დამოკიდებული. ეს კი რევოლიუციის შემთხვევაზე მიგდებაა და აქედან წარმოდგება „ბალშევიკების“ კლასიკური ფრაზა—„რევოლიუცია მოხერხებული ბუნტია“.

ამით ვათავებთ ამჟამათ „ბალშევიკებთან“ კამათს. ჩვენ ნათელ ვყავით, რომ „ბალშევიკები“ რევოლიუციის დროს—მუშათა კლასის გათვითცნობიერებას ივიწყებენ და უმთავრეს ყურადღებას აჯანყების მოხდენას აქცევენ. მარა რადგან ხალხი აჯანყებისთვის მზათ არაა, ისინი იძულებული არიან მოწინავე რაზმთა შეიარაღება-გაწვრთნით დაკმაყოფილდენ და რევოლიუციის დროსაც „რევოლიუციურ არმიას“ დაეყრდნონ. ეს რევოლიუციის შემთხვევაზე მიგდებაა, დემოკრატიის დამყარების გაძნელებაა და მით პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების დაგვიანებაა.

დასასრულ, ერთ კითხვას მივცემთ ჩვენს „ბალშევიკებს“: რით ახსნით იმ მოვლენას, რომ ცხოვრებამ ზედიზედ ფეხქვეშ გასთელა თქვენი ტაქტიკა და ჩვენი გაამართლა? ნუ თუ შემთხვევით? თუ ასე ფიქრობთ, გახსოვდეთ, როცა „შემთხვევა“ ხშირია—მაშინ საზოგადო კანონათ იქცევა.

ვ.

# პროვინცია.

**კისლოვოდსკი.** ზაფხულობით ამ აგარაკს ძლიერ ბევრი ხალხი აწყდება და ბევრი სასტუმრო-რესტორანებიც იღება. სასტუმროში კიდევ უმა ხელს (დაქიებს) მოათხოვენ და ამ პროფესიის ხალხიც ბლომათ ჩამოდის. რადგანაც სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ დაქიებს ერთმანეთში სოლიდარობა არა აქვთ, ამიტომ სასტუმროების პატრონები სარგებლობენ ამ შემთხვევით და მცირე ხელფასით აჭყავთ მუშები. დასასრულ აქაურ მუშებსაც გამოუჩნდენ არამკითხე დამცველები. ჩამოვიდა ვიღაც ნიჟარაძე, რომელსაც თავი სოციალდემოკრატ პროპაგან-[illegible] მოქონდა და თვისებურ პროპაგანდა-აგიტაციასაც ეწეოდა. ამ ვაჟბატონს თან ხლება მთელი ამალა აგენტებისა, რომლებიც მუქრით ფულს აგროვებდნენ და კარგა ბლომათაც მოუგროვებიათ. ხალხის შესაშინ-მოსატყუებლათ ქონიათ ბეჭედ დარტყმული წიგნაკი ქუთაისის ს. დ. კომიტეტისა. რასაკვირველია, ვისაც ასეთი ჩეკები უნახეს, ყველას ჩამოართვეს, მაგრამ თვით ინიციატორი საქმისა, ნიჟარაძე სადღაც გაქრა.

**ვიქტორ ჟორჟოლიანი**

**სოფ. ლეხაინდროვო** (სამეგრელო). ჩვენი სოფლის რეაქციონერები ალბათ საყვედურს აცხადებენ, რომ ამდენ ხანს მათი ღვაწლი და სამსახური საზოგადოებისათვის არ გაგვიცვრია, მარა ერთი ადილუია მღვდელსაც კი შესცდება. ჩემი აზრით დღესაც საჭირო არ არის ამ პირების დასახელება. განა ვის ესიამოვნება, რომ გაიგოს ზოგიერთა აზნაური ხაინდრავები, როგორ აწვალებენ გლეხებს ნადელისათვის. მართალია აწვალებენ ისეთებს, რომლებსაც მათი არაფერი არ მართებთ, მარა არც ამისათვის ღირს ხაინდრავა გაზეთში გამობეჭდო. ჩვენი სოფლელები არც ბურდულუ დანელიას ემადლიერებიან და რისთვის უნდა ემდუროდენ ამ ყმაწვილს, ეს მან ყველაზე უკეთ იცის და რადა საჭიროა ვსთქვათ: ავი ენის პატრონიაო. მღვდელზე რომ აკრძალული არ იყოს ლაპარაკი, ბესარიონ დანელიას აგიტაცია სწორეთ გაზეთში ჩასაწერია. რომ ჩადგება ხალხში და ახალთაობის „კრიტიკას“ გაასხურებს, იფიქრებ ეს ეს არის ზეციდან ჩამოსულაო.

**მეგრელი**

**სოფ. ქვემო-ხანდაკი** (ქართლი). 23 ივლისს, შუადღისას ჩვენს სოფელს სამი შეიარაღებული კაცი ეწვია. ამ დროს სოფელში ყრილობა იყო. სტუმრებმა დაიბარეს ასისთავი და უთხრეს: ჩვენ რაზმის ბიჭები ვართ, წადი, იმ სახლის პატრონს (ჩიქოვანისაა) უთხარი ოც და ათი თუმანი ფული მოგვიტანოს, თორემ დიდიან-პატარიანათ ავიკლებთო. ასისთავმა ბევრი არწმუნა ეს დაუპატიჟებელი სტუმრები, ამდენი ფულის შოვნა მას არ შეუძლიათ, მაგრამ ყური არ ათხოვეს. ასისთავი გულ-გახეთქილი დაბრუნდა და ხალხს უამბო ეს. ხალხი ძლიერ აღელვა ამ ცნობამ (კრებაზე ამ დროს ჩიქოვანიც იყო). ისინი გაემართენ სახლისკენ და დაუწყეს ცდა ვითომ და რაზმელებს. სანამ ასისთავი დაბრუნდებოდა, შეიარაღებული ბიჭები ჩიქოვანის სახლისკენ გაეპართენ. ხალხში დიდი აურ-ზაური ასტყდა. ვინ რას წამოავლო ხელი და ვინ რას. ჩიქოვანებმაც თოფები დაუშინეს და „სტუმრები“ გაიქცენ. ხალხი ყიჟინით და ქვების სროლით უკან დაედევნა. ერთი დამცემთაგანი გზა აბნეული სოფლის განაპირათ თავლაში შეიმალა. ხალხი გარს შემოეხვია და დაწვას უპირებდა, რომ არ გადაერჩინათ. დიდი მუდარის შემდეგ გამოიყვანეს.

მეორე დღეს ახალქალაქიდან ჩამოვიდა ბოქაული. აქ გამოირკვა, რომ ეს დამცემი ყოფილა ალექსი ივანოვი, ოლგის ქუჩაზე მაიერის საკაზმავ სახელოსნოს ყოფილი, მუშა. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ წინა ღამით ეს ყმაწვილები ლადო გედევანიშვილის სახლს დასცემოდენ სოფ. სასხორში.

**აქაური**

**სოფ. ლორეშა** (შორაპნის მაზრა). ბერდანკებით შეიარაღებული 7 კაცი შუადღისას მივიდენ გურჯია ორჯონიკიძისას და მოითხოვეს ფულები. რადგანაც შინ არავინ დახვდათ, შეცვივდენ სახლში, დამტვრიეს ფანჯრები, სკამები, ზანდუკები და შემდეგ მოუყარეს შუა ზალაში ქვეშაგებს თავი, გადაასხეს ნავთი და მოუკიდეს ცეცხლი, შემდეგში გამოვიდენ სახლიდან და ცეცხლი მისცეს ბოსელს, სადაც დამწყვდეული იყო სამი ძროხა, რომელნიც შიგვე გამოიწვნენ. შემდეგ ამისა, აუარეს იმავე სოფელში მცხოვრებ დათა მაჭავარიანს და მღ. სიმონ კურტანიძეს. პირველიდან წაიღეს 150 მან. და ნაბადი, მხოლოდ თუ მღვდელს დაუჯერებთ, მისგან არაფერი წაუღიათ. 2—3 აგვისტოს ამავე სოფელს მიუცვივდენ მცარცველები ბიქტორ ორჯონიკიძეს და წაართვეს 55 მან. ეხლა ხალხი შიშობს, ჯარი არ შემოვიდესო. საყურადღებო ის არის, რომ ყველა ეს ვაჟბატონები სხვადასხვა პოლიტ. პარტიების სახელით სძარცვავენ ხალხს.

**სერგო**

## ღია წერილი

**პასუხათ „ამაზე რას იტყვით, მუშებო?“**

ანარხისტ-კომუნისტ-სოციალისტ-რევოლიუციონერების და სხვა მრავალის ორგანოში მოთავსებულია (იხ. „მუშა“ № 49) წერილი მუშა პროკოფის და ეს პროკოფი ითხოვს, რომ მის წერილზე პასუხი გასცეს ვინმე ს.-დ. მუშათაგანმა.

თუმცა მე, სხვა ამხანაგებთან ერთათ წინაამდეგი ვარ გაზ. „მუშა“-სთან გამოლაპარაკების, მაგრამ ამ ერთ წერილზე ვაძლევ პასუხს.

მუშა პროკოფი გვიკიცხებს ბურჟუობას და ეს ბურჟუობა კი თურმე იმაში გამოიხატება, რომ სოც.-დემოკრატებმა დაუშალეს ზოგიერთ „რევოლიუციონერებს“ ბურჟუების ძარცვა-გლეჯა. იმისი აზრით სოციალისტური პარტია კი არ უნდა უშლიდეს ხელს ამ ძარცვა-გლეჯას, არამედ პირიქით უნდა აქეზებდეს, წინაამდეგ შემთხვევაში, ის სოციალისტური კი არა, ბურჟუაზიული პარტია არისო.

დიახ, მუშა პროკოფი! ჩვენ წინაამდეგი ვართ ამ ძარცვა-გლეჯის, რადგან ამ გზით სოციალიზმს ვერ დავამყარებთ და ვერც ჩვენ ნამდვილ სოციალისტობას დავამტკიცებთ.

თუ ცოტათ მაინც ხართ გაცნობილი სოც.-დემ. სწავლას, გეცოდინებათ, რომ ჩვენ ამგვარ მოქმედებაზე კი არ ვამყარებთ სოციალიზმის განხორციელებას, არამედ თვით ბურჟუაზიულ წესწყობილებაში იყრება სოციალიზმის საძირკველი, იქ მზადდება მისი ნიადაგი; თვით კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარება სპობს კაპიტალისტურ წესწყობილებას და ამყარებს სოციალისტურს. აი, ძალიან მოკლეთ გამოთქმული, ს. დ. სწავლა. ჩვენ სოციალისტობას კიდევ ვამტკიცებთ, არა ძარცვა-გლეჯით, არამედ იმით, თუ რამდენათ კარგათ გვესმის და ვითვალისწინებთ ამ განვითარების გზას, რამდენათ კარგათ ვმოქმედობთ ამის და კვალათ.

იმ „რევოლიუციონერებს“, ვისაც თქვენ ეკედლებით, არა სწამთ კაპიტალისტური წესწყობილების განვითარება; არ სწამთ, რომ სოციალისტური ხანა კაპიტალისტური ხანის შედეგია და ამიტომ მათ სხვა გზა უნდათ მონახონ სოციალიზმის განსახორციელებლათ.

მეორე: თქვენ არ მოგწონთ, რომ ჩვენ წინაამდეგი ვართ, ბურჟუაზია ჩამოსცილდეს რევოლიუციას (რამდენათაც კი ის ემხრობა მას) და მიემხროს რეაქციას. ამასაც ჩვენს ბურჟუაზიულ მხარეს აწერთ.

დიახ, ჩვენ წინაამდეგი ვართ, რომ ბურჟუაზია რეაქციისაკენ გადვიდეს. რატომ და იმიტომ, რომ დღეს რევოლიუცია ბურჟუაზიულია და ამ რევოლიუციის ნაყოფს უმთავრესათ ბურჟუაზია ჩაიგდებს ხელში (იქნებ თქვენ ეს არ გჯერათ, მაგრამ ისტორია, სამწუხაროთ, თქვენ წინაამდეგ მიდის). რახან ეს ასეა, მაშ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ამ რევოლიუციაში ბურჟუაზიაც ჩავითრიოთ, რომ მარტო ჩვენ არ მოგვიხდეს ბრძოლა და ნაყოფი კი ბურჟუაზიას არ ერგოს უბრძოლველათ.

თუ ამ ბურჟუაზიულ რევოლიუციაში ვერ მოვიხმართ ბურჟუაზიას, სხვა რევოლიუციების დროს ის რეაქციონური იქნება ყოველთვის და ბრძოლა მარტო მუშებს მოუხდებათ.

მოკლეთ ამ პასუხს გაძლევთ და თქვენ თვითონ გაარჩიეთ ვინ უფრო ნაყოფიერ და ნამდვილ გზას ადგია სოციალიზმის განსახორციელებლათ.

სოც.-დემ. მუშა ლ. მეტრეველი.

## სტამბების მუშათა პროფესიონალურ კავშირზე

პროფესიონალური კავშირების საჭიროება დღეს ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნა და ამიტომ ყველა პროფესიის მუშები ცდილობენ, რაც შეიძლება, ჩქარა მოაწყონ ეს კავშირები, რომ მომავალში მჭიდროთ შეკავშირებულებმა შედგარი იერიში მიიტანონ კაპიტალიზმის ბორკილების დასალეწათ. დღეს, როგორც მთელ რუსეთში, ისე ჩვენშიაც, მიუხედავათ ადმინისტრაციის მიერ მიღებულ შემავიწროვებელ ზომებისა, მრავალი პროფესიონალური კავშირები შესდგა, მხოლოდ ჩვენ, თფილისელი სტამბის მუშები, მოკლებული ვართ ამგვარ კავშირს, თუმცა სხვაზე არა ნაკლებ ვსაჭიროებთ მის არსებობას. ამას წინეთ ჩვენშიაც აღიძრა კავშირის დაარსების სურვილი, მაგრამ სამწუხაროთ ჯერ-ჯერობით სურვილი სურვილათვე დარჩა. მიზეზი ჩემის აზრით ინიციატორების უენერგიობა და თავის დაუდევრობა უნდა იყოს. ორი თვე იქნება რაც თფილისის სტამბების მუშათა წარმომადგენლებმა ს. გ—ის ინიციატორობის კრება გამართეს, რომელზედაც მსჯელობა ქონდათ პროფესიონალურ კავშირის მოწყობაზე. დიდი ხნის ურთიერთშორის კამათის შემდეგ კრებამ აირჩია კომისია,—როგორც მახსოვს—ხუთი კაცისაგან, რომელსაც მიანდო წესდების შემუშავება და მთელი სტამბების მუშათა კრების მოწვევა, რომელზედაც უნდა საბოლოოთ გადაწყვეტილიყო ჩვენი კავშირის საქმე. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთებში დაიბეჭდა წესდების პროექტი, მხოლოდ საზოგადო კრების გამართვა არ მოხერხდა, როგორც ერთმა კომისიის წევრმა გადმომცა, ადმინისტრაციის ნება დაურთველობის გამო. ამით განისაზღვრება კომისიის მთელი ორი თვის მოღვაწეობა.

ასე და ამგვარათ ჩვენი კავშირის საქმე, როგორც ხედავთ დავიწყებას მიეცა. ცხოვრება კი ეჭვითათ ჩაგვჩიჩინებს მის საჭიროებას. მადაგადვიძებულ ხაზეინები მარჯვე შემთხვევას ეძებენ უკან წაგვართვან ბრძოლით მოპოვებული უფლებები. ასე, მაგალითათ, ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ მესტამბე ვპ. ლოსაბერიძემ, ამ მეოცე საუკუნის ინკვიზიტორმა, სადგისით აწამა მისი მცირე წლოვანი შეგირდები. ეს ერთი მაგალითი როდია, ამნაირი მაგალითი ბევრი ვიცით, და ბევრსაც აწი ვნახავთ თუ დროით არ დავაარსეთ პროფესიონალური კავშირი. მაგრამ ვინ უნდა ითავოს მისი მოწყობა? ჩემი აზრით ძველი არჩეული კომისია ვალდებულია ხელში აიღოს კავშირის მოწყობის საქმე, ის ვალდებულია რათაც უნდა დაუჯდეს მოიწვიოს საზოგადო კრება. „გუბერნატორმა კრების ნება არ მოგვცაო“—ამით ის თავს ვერ გაიმართლებს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ „თუ გული გულობს ქადა ორივე ხელით იჭმევა“, თუ იგი ვერ მოახერხებს ამ კრების მოწვევას, კომისია ვალდებულია ეს საჯაროთ გამოაცხადოს, რომ ჩვენც სხვა გზას დავადგეთ!

დრო არ იცდის!

**ასოთ-ამწყობი ერასტი**

## მუშათა შორის.

**ბათუმის მუშებში.** რევოლიუციის ტალ-

---

შტატს მეორე შტატის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქე უჩივის“.

ასე გადასწყვიტა ეს კითხვა საზოგადოებამ მას შემდეგ, როცა მის გადაწყვეტაში სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებანი ვერ შეთანხმდენ.

### III

**უმთავრესი პრინციპი კონსტიტუციონურ მართველობისა.**

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი თანამედროვე კონსტიტუციონურ ქვეყნებში სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოები. ჩვენ ვთქვით რომ უთანხმოების დროს კითხვას საბოლოოთ საზოგადოებრივი აზრი სწყვეტს. არც ერთ ამ ორგანოთაგანს არა აქვს დამოუკიდებელი უფლება. ხალხის სახელით კონსტიტუცია ანიჭებს მათ განსაზღვრულ უფლებას და გადაწყვეტილ საქმეს ავალებს. ხალხის უფლებას კონსტიტუცია საზღვრავს და სანამ ეს კონსტიტუცია ძალაშია, არავითარ მთავრობას ხალხის უფლების მითვისება არ შეუძლია.

საჭიროა აღვნიშნოთ ხალხის უმთავრესი უფლებანი.

უფლება და თავისუფლება ორნაირათ ესმით: ზოგიერთ სახელმწიფოს შეხედულებით, ხალხს თავისუფლება აქვს იმიტომ, რომ ეს თავისუფლება მას აჩუქეს, ასე რომ თავისუფლების წყარო ნებართვაა; სხვების შეხედულებით თავისუფლება არსებობს იმიტომ, რომ აკრძალული არ არის თავისუფლათ ლაპარაკი, ფიქრი და მოქმედება. თავისთავათ ცხადია, რომ თავისუფლების წარმოდგენა და მისთვის ბრძოლა ყველგან არსებობდა მანამდის, სანამ ამის ნებართვა კონსტიტუციაში ჩაიწერებოდა. ისეთი ლოზუნგები, როგორც, მაგალითათ, „კავშირების თავისუფლება“, „საარჩევნო უფლება“, სანამ კონსტიტუციაში დაიწერებოდა, ქვეყანას ეფინებოდა, მას მილიონები იმეორებდენ, მაზე მჭექარებდენ ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში, ურიცხვ კრებებზე, მისთვის მრავალჯერ სისხლი დაღვრილა.

მათ, ვისაც ამ სიტყვების ჩაწერა მიანდვეს, ევალებოდათ მხოლოდ შესაფერი ფრაზების გამოძებნა, რომ მათი თავისებურათ ახსნა არავის შესძლებოდა, და საჭირო პრაქტიკული ზომების გამოგონება, რომ ეს ფრაზები ცარიელ ფრაზებათ არ დარჩენილიყო. „თავისუფლება“, სწერდენ „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ ავტორები, „ნებართვაა ის გააკეთოთ, რაც სხვებისთვის მავნებელი არ არის; ამიტომ ერთათ ერთი დაბრკოლება, რომელიც ადამიანს მისი ბუნებრივი უფლებით სარგებლობის ნებას არ მისცემს—იქნება სხვების მიერ ამავე უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფა. ყველა ასეთი შემთხვევა კანონში უნდა იყოს აღნიშნული“.

ერთი ადამიანი მეორეს თავისუფლებას არ უნდა შეეხოს—ეს საზოგადო კანონია, მაგრამ ამ ნიადაგზე ორგვარი უთანხმოება შეიძლება აღმოცენდეს: მოქალაქის მოქალაქესთან და მოქალაქის მთავრობის რომელიმე წევრთან. რომ ერთმა მოქალაქემ მეორე არ დაიჩაგროს, ამისთვის საჭიროა კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს: აზნაურს უპირატესობა არ უნდა მიეცეს, მას ნება არ უნდა ქონდეს სხვის პიროვნების და ქონების თავის ნებაზე მოექცეს. წმინდა აზნაურული უპირატესობანი ამგვარ საქმეში არსად ევროპაში აღარ არსებობენ. მაგრამ კიდევ არსებობენ კაპიტალისთვის ფაქტიური და სახელმწიფო ჩინოვნიკთათვის ფორმალური უპირატესობანი. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ იქცევა საფრანგეთის კანონები, როცა საქმე უბრალო მოქალაქეს და თანამდებობის პირს ეხება. მდიდარი ხომ ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ ღარიბთან შედარებით ათასგვარი შეღავათი და უპირატესობა ეძლევა, მაგრამ თვითონ კონსტიტუციაში ეს არსად არ არის დაკანონებული პირდაპირ. მაგრამ, როგორ უზრუნველვყოთ პიროვნება მთავრობის ძალმომრეობისაგან? როგორ ავლაგმოთ ამ უკანასკნელის თავგასულობა? რა არის საჭირო ადამიანის პოლიტიკური თავისუფლებისათვის?

ყველა სახელმწიფომ თავისებურათ გადასჭრა ეს კითხვა. ცხადია, სადაც ადმინისტრატიული სასამართლო არსებობს, იქ სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას ადგილი არა აქვს. კერძო პირსა და ადმინისტრაციას შორის მომხდარ უთანხმოებას ეს უკანასკნელი, ე. ი. ადმინისტრაცია არჩევს, რაც მას თვითნებობის იარაღს აძლევს ხელში. ჩინოვნიკის საქმეს ვერ გაარჩევს ჩვეულებრივი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მას თვითონ მთავრობასთან უნდა უჩივლო.

სასამართლო ადმინისტრაციას არ უნდა ექვემდებარებოდეს—მხოლოდ ამ გზით შეიძლება პიროვნების თავისუფლება და ადმინისტრაციის თვითნებობის ალაგმვა. იმავ 1791 წ. კონსტიტუცია, რომლის ნაწილს შეადგენს „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, შემდეგს გვაუწყებს: „სასამართლოს არ აქვს ნება... ადმინისტრაციის თავისუფლათ მოქმედება შეავიწროვოს ან ჩინოვნიკებს პასუხი აგებინოს იმისთვის, რაც მათ სამსახურის ასრულების დროს ჩაუდენიათ“.

მე-18 და მე-19 საუკ. საფრანგეთის ყველა კონსტიტუცია ამ პრინციპს გარშემო ტრიალებს. ეს პრინციპი დღესაც საფრანგეთის კონსტიტუციონური კანონის დედაძარღვს შეადგენს, მხოლოდ ცხოვრება თუ ალაგმავს ჩინოვნიკების თავგასულობას და მათ პრივილეგიებს ჩამოართმევს. კიდევ კარგი, რომ საფრანგეთში არსებობს საკანონმდებლო ძალა, რომელსაც უფლება აქვს ადმინისტრაციის მოქმედებას კონტროლი უყოს. კიდევ კარგი, რომ იქ მარტოოდენ ეჭვი ნებას არ აძლევს პოლიციას მოქალაქე დაატუსაღოს, რადგან კანონში პირდაპირ აღნიშნულია რა და რა დანაშაულისთვის შეიძლება ადამიანს თავისუფლება წაართვან.

„არავისი გამტყუნება, დატუსაღება ან დაჭერა არ შეიძლება იმ შემთხვევებს გარდა, რომელიც კანონშია აღნიშნული, და იმ წესს გარეშე, რომელსაც კანონი უჩვენებს“.

„ყველას საქმე, ვინც დატუსაღებულია და ადმინისტრაციის წარმომადგენელთან წარდგენილია, დაუყონებლივ უნდა გაირჩეს, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა“.

ეს და სხვა მრავალგვარი დადგენილება საფრანგეთის კონსტიტუციისა სხარტათ არის გამოხატული ბელგიის კონსტიტუციის შემდეგ ორ პარაგრაფში:

§ 7. პიროვნების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ვერავის ვერ შეეხებიან ისე თუ არ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და კანონის მიერ ნაჩვენები წესით. თუ დამნაშავე თვითონ დანაშაულის ჩადენის დროს არ არის დაჭერილი, საჭიროა მსაჯულის მოწერილობა და დანაშაულის აღნიშვნა; ასეთი მოწერილობა უნდა მიეცეს არა უგვიანეს 24 საათისა.

§ 10. ბინა ხელშეუხებელია; პოლიციას შეუძლია შევიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესის დაცვით, რომელიც კანონშია ნაჩვენები.

მაშ, „პიროვნების და ბინის ხელუხლებლობა“ ფაქტიურათ მხოლოდ ძალმომრეობის შეზღუდვა ყოფილა; დატუსაღება კანონის ძალით პოლიციის თვითნებობას აუქმებს, სასამართლოს მოწერილობა კი ადმინისტრაციის განკარგულების მაგიერობას შვრება. მორჩა და გათავდა. ლამაზი ფრაზები მშრალ იურიდიულ ნორმებათ გადაიქცენ. მაგრამ ეს მშრალი ნორმებიც რამდენიმეთ პასუხს აგებინებენ ამა ქვეყნის ძლიერთ; ეს კი აიძულებს მათ პიროვნების თავისუფლებას მეტის პატივისცემით მოეკიდონ.

ინგლისი და ამერიკა და რამდენიმეთ ბელგია ცოტათი შორს წავიდენ ამ მხრით და იქ ჩინოვნიკების პასუხისმგებლობაც უფრო ძლიერია. იქ, სადაც ადმინისტრატიული სასამართლო არ არის, ჩინოვნიკის დასჯაც შეიძლება, რადგან სასამართლო ადმინისტრაციისაგან დამოკიდებული არ არის. ზევით ჩვენ მოვიყვანეთ იმის მაგალითი, როცა ამერიკის მოქალაქემ საჩივარი აღძრა იმის შესახებ, რომ პარლამენტმა ის უკანონოთ დაატუსაღებია; ეს ნიშნავს იმ ჩინოვნიკის დასჯას, რომელმაც ის უკანონოთ დაატუსაღა. თქვენ შეგიძლიათ პასუხისგებაში მისცეთ ის, ვინც თქვენ უსამართლოთ დაგატუსაღებთ, თუნდ ის ჩინოვნიკი იყოს, და ამით საშუალება გეძლევათ თქვენი პიროვნება დაიცვათ; გუბერნატორი, მინისტრი, სამხედრო სასამართლოს წევრი,—ყველა პასუხისგებაში მიეცემა უკანონოთ დატუსაღებისთვის, რადგან კანონის წინაშე ყველა თანასწორია. დამტუსაღებელი ვერ გაიმართლებს თავს ვერც „სამსახურის მოვალეობით“ ვერც იმით, რომ მას დატუსაღება უფროსისაგან ქონდა ნაბძანები. პასუხისგებისაგან თავისუფალი თანამდებობის პირი არ არსებობს, მას არ შეუძლია თავი იმართლოს „პოლიტიკური“ ან „ადმინისტრატიული აუცილებლობით“. კანონი ყოველგვარ აუცილებლობაზე მაღლა სდგას. მეორე საშუალებაა „რიტ“, რომელზედაც უკვე ვილაპარაკეთ. უკანონოთ დატუსაღებულს „რიტ“ თავისუფლებას ანიჭებს; ვინც უმნიშვნელო საქმეზეა დაჭერილი, მას შეუძლია მოითხოვოს საქმის გარჩევამდე თავდებით განთავისუფლება. ვისაც მძიმე ბრალსა სდებენ, მას შეუძლია მოითხოვოს საქმის დაჩქარება. ასეთი „რიტ“-ის მიღება შეიძლება აგრეთვე მაშინ, როცა მოქალაქის თავისუფლებას კერძო პირი ეხება. მოლაზონს, რომელიც ძალით დაუმწყვდევიათ მონასტერში, ნეგრს, რომლისთვის ბორკილი გაუყრიათ, როგორც მონისთვის, შეშლილების სახლში შეცთომით ჩაგდებულს—ყველას შეუძლია განმათავისუფლებელი „რიტ“-ის მოთხოვნა. ერთი სიტყვით „რიტ“-ის მოთხოვნა პრაქტიკული საშუალებაა იმის განსახორციელებლათ, რის აღთქმასაც კონსტიტუცია იძლევა. მაგრამ „რიტ“-ის არსებობა მჭიდროთ შეკავშირებულია მსაჯულების დამოუკიდებლობასთან, რადგან „რიტს“ იძლევა მსაჯული ადმინისტრაციის უკანონო საქციელის ასალაგმავათ.

(დასასრული იქნება)

დებმა აქური „რაბოტნიკებიც“ გამოაფხიზლეს და თავის „ხაზეინებს“ წარუდგინეს მოთხოვნები. დღემდი არავის არ მოუცლია მათი შევიწროებულ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ისედაც უნუგეშო მათი მდგომარეობა დღითი დღე მწვავდებოდა. გაფიცვა გაგრძელდა ორ დღეს, რის შემდეგ „ხაზეინმა“ ხმის უმეტესობით გადაწყვიტეს მათი დაკმაყოფილება ბევრათ თუ არა, ცოტათი მაინც, რაც გამოიხატება შემდეგში: 1) მიეცეს „რაბოტნიკს“ ჯამაგირი თვეში ათი მანეთი და დღაურ ხარჯათ ათი შაური. 2) აბანოს ფასათ მიეცეს თვეში ათი შაური. 3) ავათმყოფობის დროს მიეცეს ჯამაგირი ათი დღის განმავლობაში და შეუნახოს ადგილი. 4) ვინც ერთი წლის ნამსახურია, მიეცეს თუთხმეტი დღის თავისუფლება წელიწადში, ჯამაგირის შენახვით. 5) როგორც „ხაზეინი“, ისე „რაბოტნიკი“ ვალდებულია ერთი კვირით წინ განუცხადოს მოპირდაპირეს სახლში წასვლა ან დათხოვნა. 6) ზრდილობიანი მოპყრობა „ხაზეინებისა“-გან „რაბოტნიკისადმი. 7) „რაბოტნიკი“ მოვალეა ასრულებდეს თავის მოვალეობას კეთილსინდისიერათ და ამისათვის: აეკრძალოს სიმთვრალე, კარტის თამაში, უწესოთ ლაყბობა და დროის დაკარგვა. 8) ნება ეძლევა „რაბოტნიკს“ მისი თანხმობით გავიდეს ბირჟაზე სამუშაოთ. 9) განთავისუფლებულ იქნას „რაბოტნიკი“ ოჯახის სამსახურისაგან და სხვა. 10) ყოველივე უთანხმოება „ხაზეინსა“ და „რაბოტნიკს“ შორის განიხილოს ორივე მხრით არჩეულმა კომისიამ. გაფიცვა შეგნებული და ერთსულოვანი იყო.

პ. წიწვიაძე.

—

**შორაპნის მუშები.** ჩვენ, შორაპნის სადგურზე საქონლის გადმტვირთავი მუშები რიცხვით 25 კაცი წინადადებას ვაძლევთ ბ. ერ. მიქელაძეს: ეყოფა მას რაც ჩვენ ზურგზე იპარპა, დღეიდან ჩვენს უფროსობაზე ხელი აიღოს. თუ არ მოისურვებს თავის დანებებას და ჩვენთან უნდა დარჩეს, იყოს, როგორც ერთი ამხანაგი მუშა და არა მყვლეფელი. თუ მიქელაძე ჩვენ წინადადებას ყურადღებას არ მიაქცევს, იმ შემთხვევაში ჩვენ, მუშები, მზათ ვართ მივმართოთ სხვა ზომებს.

მუშების მონდობილობით ი. ჩიჩუეიშვილი.

—

**თფილისის საკანდიტროებში.** ამ ბოლო დროს ჩვენ ხაზეიხებს მადა აღეძრათ ერთხელ მუშების მიერ მოპოვებული უფლებების უკან წაღებისა. თითქმის ორი წელიწადია მას შემდეგ, რაც თფილისის საკანდიტროების მუშებმა ხაზეინებს ეკონომიური მოთხოვნები წარუდგინეს. ამ მოთხოვნათა უმთავრეს მუხლს რვა საათის სამუშაო დღე და ღამით მუშაობის მოსპობა შეადგენდა. დანარჩენი უფრო წვრილ კითხვებს ეხებოდა. ხაზეინებმა სავსებით დააკმაყოფილეს მაშინ ჩვენი მოთხოვნები, რადგან აღდგომა კარზე იყო მომდგარი და, როგორც მოგეხსენებათ, სააღდგომოთ საკანდიტროებს დიდი საქმეები აქვთ. მართალია, მაშინ დააკმაყოფილეს ჩვენი მოთხოვნები, მაგრამ შემდეგ დიდი ფაცა ფუცი შექმნეს. ამოირჩიეს უსტაბაშათ ბ-ნი გერე, ხოლო ამხანაგებში ფანკა იარგელოვი, რომლებსაც დაავალეს რაღაც „პრავილების“ შედგენა. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ გერეს არაფერი დაუმავებია მუშებისათვის გარდა იმისა, რომ გასულ ზაფხულს რამოდენიმე ამხანაგი გააგზავნია ადმინისტრაციას სხვა და სხვა ქალაქებში. გავიდა კიდევ დრო და ჟამი მაგრამ გერეს „წიგნაკები“ არც გახსენებია. მას ახლა გამოუღვიძა, როცა მის საკანდიტროში თითქმის თვე ნახევარია გაფიცვა. ამ ამბით გამწარებულ გერეს შეუდგენია რაღაც „პრავილები.“ 4 აგვისტოს მან მოიწვია ყველა ხაზეინები და დაურიგა თავისი „თხზულება“ და უთქვამს ვინც ამ წესებზე არ ამუშავებს მუშებს, თითო თუმანი ჯარიმა გადავახდევინოთ. ეს არ მოეწონა ზოგიერთ ხაზეინს. ამ წიგნაკის უმთავრესი მუხლები შემდეგია: 1) 12 საათის სამუშაო დღე. 2) ღამე მუშაობის განახლება, დაჯარიმება მუშისა და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, დიდებული მადა აღძვრია ჩვენს ყველაზე უფრო ღამე მუშაობის განახლება ჰგვრის მათ პირზე ნერწყვს. მართალია, უსტაბაშმა დაჯარიმებაც კი მოიგონა ადების გასამხნევებლათ, მაგრამ ისინი მაინც ვერ ბედავენ წიგნაკების მუშებთან წარდგენას. მხოლოდ ერთი ოპანეს ანიევი გამოჩნდა სხვებზე უფრო გულადი, მაგრამ მუშებისგან შემდეგი პასუხი მიიღო: „ახლა ქურდობა გახშირებულია და წიგნაკებს გაუფრთხილდი, არავინ მოგპაროსო“. მუშის ასეთმა ირონიულმა შენიშვნამ ძლიერ გააცხარა მადა აღძრული ხაზეინი.

**ამხანაგებო!** ხაზეინებს უნდათ ერთხელ სისხლით მოპოვებული უფლებები ხელიდან გამოგვგლიჯონ. საჭიროა ჩვენ შეგნებულათ დავხვდეთ მათ იერიშს. მაგათ უნდათ თორმეტი საათის სამუშაო დღე შემოიღონ და ღამე მუშაობა განაახლონ. ნუ მივცემთ, ამხანაგებო, იმ წიგნაკებს, და თუ ძალას დაგვატანენ, მზათ ვიყოთ საერთო გაფიცვისათვის. ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს, ბოლო ვისი იქნება.

ახალი.

—

1906 წელს, 15 მკათათვეს ჩვენ, ქირით ტივის მატარებელი მუშები ვთხოულობთ მონასყიდეთაგან: 1) მონასყიდემ ტივი უნდა ქირის კაცს გაატანოს; 2) ჩვენ, ქირის მუშები მოვალე ვართ ტივი ჩავაბაროთ, როგორც ჩავიბარებთ ისე, მხოლოდ თუ ვინიცობაა ან დაინგრეს და ან გაირიყოს, მაშინ თუ კამჩა მოუნდეს ან მცურავი—იმათი ქირა ტივის პატრონის იქნეს; ქირის კაცმა კი უნდა მოუაროს ტივს და ჩააბაროს პატრონს; 3) ამასთანავე თუ ქირის კაცს რამე დაუშავდეს, მაშინ წამლის ფული ხაზეინმა უნდა მისცეს იმ მეტივეს. თუ მეტივე დაიხრჩო, მონასყიდემ, ე. ი. ტივის პატრონმა უნდა მისცეს გასასვენებელი ფული დამხრჩვალის ოჯახს, თუ მეტივე დასახიჩრდა ერთდროულათ უნდა მისცეს ფულით შემწეობა; 4) ქირა უნდა მოგვეცეს ტივის ჩამოტანისთანავე. თუ ქირის მიზეზით ქალაქში დარჩენა მოგვიხდა, ტივის პატრონმა უნდა დღიური ქირა გვაძლიოს, რამდენი ხანიც დავრჩებით; 5) ქირა ტივის ჩამოსატანი ქარელიდან თფილისამდე უნდა იქნეს შემდეგნაირათ განაწილებული: ათ თუმნიან და თორმეტ თუმნიან ტივზე მოგვეცეს 7 მანეთი, ოც თუმნიან ტივზე 12 მან., ოცდაათ თუმნიდან ოცდა თხუთმეტ თუმნამდი ქირა 15 მან., 40 თუმნიან და მეტიანზე—მორიგებით; 6) ეს ქირები ონავრობას, ე. ი. წყალდიდობას მომატებული უნდა იქნეს, ასე რომ შვიდ მანეთიანი 10 მან. 12 მანეთიანი 15 მან. 15 მანეთიანი ოც მან.; 7) ტივზე სადების ქირა სულ ქირის კაცის უნდა იყოს, ხაზეინს საქმე არა ქონდეს; 8) ტივის მასალა ტივის პატრონის უნდა იქნეს.

რომელიც ჩვენი ქირის კაცი ამ პირობას დაარღვევს, ის ჩვენ ამქარში ვეღარ გაივლის.

# რუსეთი

**სამხედრო დიქტატურა.** როგორც გაზეთ „ტოვარიშჩ“-ს გაუგია, სამხედრო დიქტატურის შესახებ საკითხი ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ. ვარშავასა და ლოძში მომხდარ ამბების შემდეგ სამხედრო დიქტატურის მომხრეებმა მეტი საბუთი იშოვნეს. ჯერჯერობით ფიქრობენ პოლონეთში დამსჯელი რაზმები გაგზავნონ, თუმც ამისგან ბევრს არას გამოელიან.

**სტოლიპინი და ბეჭდვითი სიტყვა.** სტოლიპინს ერთ კორესპონდენტთან საუბრის დროს უთქვამს: ზოგიერთ გაზეთების დახურვა აუცილებელი დროებითი ზომაა, რადგანაც ისინი სასტიკათ კიცხავენ უმაღლეს მთავრობას და ჯარს ააჯანყებლათ იწვევენ. როცა მშვიდობიანობა დამყარდება, ზომიერ გაზეთებს ისევ ნებას დაერთავთ. კრებებიც იმიტომ აკრძალე, რომ იქ გაფიცვების მოსახდენათ და მთავრობის გასანადგურებლათ იწვევენ. მთავრობის უმთავრეს საზრუნავ საგანს 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება შეადგენსო.

**შავრაზმელები ქალაქში და სოფელში.** ხულიგანურ გაზეთ „რუსსკაია რეჩ“-ში 600 შავრაზმელის მიერ ხელმოწერილი წერილი დაუბეჭდიათ. წერილში სწერენ ვითომცა ურიების გაზეთების წინააღმდეგ მოქმედების შესახებ და სამაგიეროს გადახდას თხოულობენ.

კიევის გუბერნიის გლეხებში მონარქიული პარტია ბლომათ ავრცელებს მოწოდებებს სახელმწიფო სათათბიროს მოქმედების წინააღმდეგ.

**სოფელში.** აგრარული მოძრაობა არ ცხრება. ის ედება ისეთ გუბერნიებსაც კი, სადაც წინათ მშვიდობიანობა იყო. თვითონ მთავრობა ოფიციალურათ აცხადებს, რომ შარშან შემოდგომასთან შედარებით აგრარული მოძრაობა უფრო გაფართოვდა და გაღრმავდაო. გახშირდა გლეხების დატუსაღება. თითქმის ყოველ დღე მიერეკებიან სოფლებიდან ქალაქების სატუსაღოებში დიდძალ გლეხობას. დაჭერილების მდგომარეობა აუტანელია. ამწყვდევენ ნესტიან და ბნელ სარდაფებში. რადგან დაჭერილები ძალიან ბევრია, ამიტომ სატუსაღოებში მეტის მეტი ვიწროობაა. დამსჯელ რაზმების მოქმედების შესახებ ლაპარაკიც კი მეტია.

**უსაქმოთ დარჩენილები.** უსაქმოთ დარჩენილ მუშათა რიცხვი დღითი დღე მატულობს, რადგან ვაჭრობა-მრეწველობა შეფერხებულია. უსაქმოებს ათასობით აგზავნიან ქალაქებიდან სოფლებში. მთელ რუსეთში ორასი ათასამდე უთვლია უსაქმოთ დარჩენილთა რიცხვი. მარტო პეტერბურგში თურმე 15 ათასამდეა.

**ახირებული საქციელი.** მინსკის გუბერნიის გლეხებს, როგორც გაზეთები ამბობენ, თავის ყოფილ დეპუტატის ხომენტოვსკის სახლკარი დაუწვავთ—მიწა და თავისუფლება რათ არ მოგვაპოვეო.

**დეპუტატის მიმართვა თავის ამრჩევლებისადმი.** სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატ ბოროდინს ვეებერთელა წერილი მოუთავსებია გაზეთ „ურ. დნევ.“ თავის ამრჩეველების მიმართ. წერილი ასე თავდება: „მე მოგმართავთ თქვენ, ჩემ ამრჩევლებს, გამოსთქვათ თქვენი აზრი სტანიცების ყრილობების განაჩენის სახით თუ წერილების შემწეობით იმას შესახებ, მოგწონთ თუ არა თქვენ დუმის მოქმედება საზოგადოთ და კერძოთ ჩემი, თქვენი არჩეულის. თქვენი პასუხით გაიფანტება ის ცილის წამება, რომელსაც მთავრობა ავრცელებს ჩვენი მოქმედების შესახებ, განსაკუთრებით დგოტების მქონე პოლკების განთავისუფლების საქმეში. ამასთან თქვენ საშუალებას მომცემთ შევიტყო ნამდვილათ შეგნებული მქონდა თუ არა თქვენი ინტერესები საზოგადოთ და კერძოთ ყაზახების.

—

**ტრამვაის მოსამსახურე რაინდი კონდუქტორი.** დღეს დილის ცხრის ნახევარზე № მე-20 ვაგონზე მომუშავე კონდუქტორმა სცემა ვორონცოვის ქუჩაზე ერთ მეხალეს, რომელიც ვირით დაატარებდა თავის სავაჭროს. ამ კონდუქტორის ასე რაინდულმა მოქმედებამ ძლიერ აალელვა ყველა იქ დამსწრე პასაჟირები.

საჭიროა მიაქციოს ყურადღება ამხანაგ კონდუქტორებმა, რომ რაინდ კონდუქტორს შესაფერი ადგილი აღდვას ასეთი საქციელისთვის. ვინაიდან ეს ჩირქს სცხებს შეგნებულ ამხანაგებს.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ საშუალება მოგვეცეთ თქვენი გაზეთის შემწეობით სამედიატორო სამართალში გავიწვიოთ მუხაყრუელი მემამულე მ. დარახველიძე, რომელმაც რეაქციის გაბატონებასთან ერთათ აამოძრავა მთელი თავისი ბნელი არსება და საჩივრებს საჩივრებზე გზავნის, სადაც ჯერარს, გლეხების მოქმედებაზე...

დიახ, ბ-ნო დარახველიძევ, თქვენ არღვევთ ჩვენს შორის დადებულ პირობას ადგილის! დამუშავების შესახებ; თქვენ მასხარათ იღებთ გლეხების უფლებებს და ეხლა კიდევ საჩივრებით საქმეს გვიპირებთ... გამობრძანდით სამედიატორო სამართალში და პასუხი გაგვეცით თქვენს ბნელ მოღვაწეობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მიერ შევიწროებული ხალხი სასტიკ ბრძოლას გამოგიცხადებს და თქვენს ცილისწამებას უკანვე წაგაღებინებს.

გთხოვთ დაუყონებლივ მოგვეცეთ პასუხი გაზეთის ფურცლებზე

გლეხების მონდობილობით ილორელი

—

ჩვენ ამას წინათ გამოვიწვიეთ სამედიატორო სამართალში უმუშევარ ინტელიგენტთა ბიურო. გვეგონა, რომ ის ბრალდება, რომელიც ბიუროს წინააღმდეგ წამოვაყენეთ, მას დააფიქრებდა და თვითონ შეეცდებოდა საქმე ადრე დაბოლოებულიყო. მარა ჩვენ შევცდით. ბიურო ყურსაც არ იბერტყს და თავის „საგმირო საქმეებს“ უმაგალითო უტიფრობით განაგრძობს: და ვინც ამის წინააღმდეგ პროტესტს განაცხადებს, „სტუდენტის მუშტს“ უჩვენებენ. კითხვა იბადება, როდის მოეღება ბოლო ბიუროს ამ სისაძაგლეს? ჩვენ ხელმეორეთ ვუმეორებთ ბიუროს, დაასახელოს ორი დღის განმავლობაში მედიატორები. ბიურო ასე მოიქცევა თუ მას არ ეშინია სიმართლის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით ყველაფერი გამოვაქვეყნოთ გაზეთის საშვალებით. ამას გვაიძულებს ჩვენ სხვათა შორის ორი ის გარემოებაც, რომ საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, თითქო ყველა იმ უმსგავსოების მიზეზი, რომელიც დღეს ხდება უმუშევარ ინტელიგენტთა შორის, სოც. დემოკრატები იყვნენ. ეს ხმები უსაფუძვლოა და, როგორც პარტიის წევრები, მოვალე ვართ სიმართლე გამოვარკვიოთ.

მე 9 ნაწ. რწმუნებულები ნესტორ, მიშა, მელიტონ, მოსე.

—

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნ ტარასი მგალობლიშვილს და მიხეილ პაიკაძეს, რომელთაც მოგვაწოდეს სამოცი ცალი პატარა წიგნები უფასოთ ერკეთის ბიბლიოთეკისათვის.

ილია მგალობლიშვილი.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

8 აგვისტო

**პეტერბურგი.** კაპიტანმა ბოკაემ და პორუჩიკმა ლებედევმა, როგორც პორუჩიკ სმირნსკის სეკუნდანტებმა, წერილი მოათავსეს გაზეთ „ნოვოე ვრემია“-ში, რომლითაც დუელში იწვევენ დუმის ყოფილ წევრს იაკობსონს. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ ბელასტოკის პოგრომის შესახებ საკითხის გარჩევის დროს, იაკობსონს დუმაში სიტყვა წარმოუთქვამს და ჯარისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია. დუელზე უმაღლესმა სამხედრო მთავრობამ ნება დართო.

**შუია.** რვა აგვისტოს, ღამით, ლაზარევის ფაბრიკას თავს დაესხნენ 30—40-მდე შეიარაღებული კაცი. თავდამსხმელთა და ფაბრიკაში მყოფთ შორის საშინელი სროლა ასტყდა. ცოტა ხნის შემდეგ ფაბრიკაში მუშებმა იწყეს დენა და ბოროტგამზრახველნიც გაიქცნენ.

9 აგვისტო

**ფეოდოსია.** დღეს, ღამით, ვენახებში დახოცეს მთელი ოჯახი 4 სულისაგან შემდგარი. ბოროტგამზრახველებმა 600 მ. წაიღეს და მიიმალენ.

**ადესა.** მოხდა მშვიდობიან განახლების პარტიის პირველი დამფუძნებელი კრება. პარტიაში 17 ოქტომბრის კავშირის და სავაჭრო-სამრეწველო პარტიის წევრები ეწერებიან.

**პოლტავა.** ქალაქის განაპირა, ლეშას საპნის ქარხნის ეზოში, პოლიციამ აღმოაჩინა მიწაში ჩაფლული 19 რევოლვერი და 300-ზე მეტი პატრონა.

**ვარშავა.** გაზეთ „ვარშავსკი კურიერ“-ის სიტყვით ორი დღეა რაც ვარშავაში შეიარაღებული თავდასხმა აღარ მომხდარა.

**ქერჩი.** მემანქანეების და კაპიტნების თანაშემწეების გაფიცვის გამო რუსის საზოგადოების გემები აზოვის ნავთსადგურისაკენ აღარ გადიან.

**ორიოლი.** ბრიანსკში ტეხნიკურ სასწავლებლიდან დათხოვნილ მოწაფეების ბინაზე ყუმბარა აფეთქდა. ორი მოწაფე გამოტყდა, რომ ისინი ყუმბარებს აკეთებდნენ და დაიჭირეს.

**რიგა.** გუბერნატორის ნებართვით გაზეთებში დაბეჭდილია მოწოდება, რომლითაც სთხოვენ მცხოვრებლებს გაიღონ თავისი წვლილი პოლიციელებისთვის, ჯავშანის შესაძენათ, რადგან მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე განსაცდელი ელით. მთავრობას კი სახსარი არა აქვს ამ ნივთების შესაძენათ. შემოწირულება რედაქციებში და ბანკებში მიიღება.

**ფეოდოსია.** დაიჭირეს 14 კაცისაგან შემდგარი ავაზაკთა ბრბო, რომელმაც გუშინ მთელ ოჯახს გამოსჭრა ყელი.

**ორიოლი.** დმიტროვსკში ორლოვის საოლქო სასამართლომ გაარჩია მენშინას მამულზე თავდასხმის საქმე, 57 კაცს უფლებათა ჩამორთმევა და 8 თვის ციხე გადაუწყვიტა, ხუთს 6 თვის და 4 გაამართლა.

**ჰელსინგფორსი.** ფინლიანდიის სხვა და სხვა კუთხეებში მოხდა წითელი გვარდიის კრებები, სადაც მათ განიხილეს თავიანთ არსებობის საკითხი. უმრავლესობამ ის აზრი გამოთქვა, რომ დაემორჩილონ სენატის გადაწყვეტილებას. წითელი გვარდიის მრავალი პროვინციალური განყოფილებები დაიხურა. ათას კაცისაგან შემდგარი მებრძოლი რაზმი, რომელმაც მხარი დაუჭირა სვეაბორგის გარნიზონს, ცალკე გამოიყო და გაიფანტა. ზოგიერთი პირები დაიჭირეს. გვარდიის განყოფილების დაშლის დროს გადასწყვიტეს გააუქმონ ნიშნები, კაკარდები, ფლაგები და ბლიახები. გვარდიის დაშლის და ს.-დემოკრატიულ პარტიის შესუსტების გამო, კონსტიტუციონალისტები გამოცოცხლდნენ. გაფანტული გვარდიელები შურის ძიებას ემუქრებიან ადმინისტრაციას და საზოგადოებით.—გუშინ დაიწყო ფინლიანდიის სოციალისტთა სიეზდი ულეაბორგში.

**ტამბოვი.** სადგურ გრიბნოვკაზე ოთხმა, სტუდენტის ტანისამოსში გამოწყობილმა ბოროტგანზრახველებმა ფოსტის ვაგონში გაძარცვეს სამხრეთ ბანკის არტელშჩიკი. წაართვეს 1600 მ. და მიიმალნენ. 15 ათასი მანეთის გადამალვა მოასწრო არტელშჩიკმა.

**ბაქო.** ნობელის, როტშილდის და ინგლისის ხუთ საზოგადოების ქარხნებში გაფიცვა გრძელდება. მუშები დაითხოვეს, მაგრამ ისინი არსად არ მიდიან და ქარხნის ბინებით სარგებლობენ. მუშების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მათი მოთხოვნები არ შესრულდება, მაგრამ მეპატრონეები აჩერებენ მათ და ეუბნებიან, რომ ორი თვის გაფიცვის შემდეგ მუშაობის დაწყება ისე, რომ არც ერთი მათი მოთხოვნები არ შესრულდეს, პროლეტარიატის საზოგადო მოძრაობისთვის დიდი დამარცხება იქნებაო. როგორც ჩანს, მუშაობას მალე დაიწყებენ.

**ვარშავა.** პოლონელ და ლატიშელ ს.-დემოკრატებმა ფურცლები გამოუშვეს, რომლითაც აცხადებენ, რომ სალდათებზე თავდასხმა სულელური ანარქიზმია და რევოლიუციას ზარალს მოუტანსო.—დღეს ნაშუადღევის ორ საათზე მარშალკოვის ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა დასჭრეს შტაბ-აფიცერი პოდპოლკოვნიკი გრაფი ესტენ-სენბოკ-ფერმორი და იქვე ეზოში შეცვივდნენ, მათ უკან დაედევნა პატრული და სროლა აუტეხა, მაგრამ ბოროტგამზრახველნი უ,ნებლათ გავარდნენ მეორე კარებიდან და მიიმალნენ.

**პსკოვი.** აგარაკ ცარიცინში ღამის 11 საათზე ბაღში შეცვივდნენ 9 შეიარაღებული კაცი, წაართვეს მებუფეტეს 850 მ. და გაიქცნენ.

**კოკანდი.** სადგურ ჩერნიაევოზე დაიჭირეს თანაშემწე (?) ნიასოვი, რომელმაც სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან 130,000 მ. მოიტაცა.

**მოსკოვი.** ვაშილოვკაში სნასტნის სახლში პოლიციამ დაატუსაღა 13 კაცი, იპოვეს მრავალი იარაღები და ერთი ყუმბარა.

**პეტერბურგი.** (ოფიციალ.) 8 აგვისტოს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა პირველდაწყებითი სავალდებულო სწავლის ...დების საკითხი, სცნო რა სასურველათ ... პირველდაწყებითი სავალდებულო სწავლის ...დება, გადასწყვიტა ეხლავე დაწვრილებით ... მუშათა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ... ნონ-პროექტი და პირველათვე წარუდგინოს მავალ დუმას. გარდა ამისა საბჭომ ს... სცნო ეხლავე დახმარება გაუწიოს პირველ... წყებით სკოლების მასწავლებლების ჯამაგ... მომატებით და აგრეთვე ახალი სკოლების სახსნელათ. საბჭომ გადასწყვიტა მომავალ ...ში ამ საქმისათვის გადასდოს 5,336,38... შემდეგ საბჭომ დაადგინა ცალკე თათ... განხილულ იქნას გლეხთა უფლებრივ გა... სწორების შესახებ კანონ-პროექტი, რომე... ეხლა შინაგან სამინისტრო ადგენს.—ბ... საბჭომ მოისმინა და ძლიერ მოიწონა შ... სამინისტროს მოსაზრება შემოიღონ განსა...რებული დაცვის წესები ქალაქ სტავროპ... და მის მაზრაში და აგრეთვე ბლაგოდარნ... და მედვეჟინსკის მაზრებში, და გაძლიერ... დაცვის წესები ამ გუბერნიის დანარჩენ მა...ში. აგრეთვე წინააღმდეგი არავინ ყოფილა ...ნოს გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვის გა...ლების.

**რიგა.** გაზ. „ბალტიისკ. გაზ.“ პასუხის...ბელმა რედაქტორმა სავიცკიმ ფოსტით ...იღო წითელი შრიფტით დაბეჭდილი წერ... რომლითაც მისთვის სიკვდილით დასჯა ... უწყებიათ, რევოლიუციონერების ტრამ... გაფიცვის შესახებ წერილების დაბეჭდვის...

**პეტერბურგი.** რადგან ხმები გავრცე... ვითომ გრაფი ვიტე ფრანკფურტში მოსულ... ს-პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს და... გამოაცხადოს, რომ გრაფი ფრანკფურტში ...ლოთ საექიმოდ მივიდა. გუშინ პროფესორ... შპისმა მას აპერაცია გაუკეთა და ამიტომ ...ფი რამდენიმე კვირა დარჩება იქ.

სრულიად რუსეთის სავაჭრო-სამრეწვე... კავშირი საბოლოოთ დახურა.—აირჩიეს სა... კვიდაციო კომისია. დახურულ კავშირის მაგ... ახალი სდგება, რომელშიაც მხოლოდ მარ... მწარმოებლები შედიან. მოსამსახურეებს ... ნოქრებს ნება არა აქვთ კავშირში შესვლ... ახალი კავშირის მიზანი პირდაპირ პროფესი...ნალურ-კლასობრივია. დამფუძნებელ კრებას ... ტომბერში მოიწვევენ.

5 აგვისტოს ბალტიის რკინის გზის ს... გურ ხორფსა და დაბა შერეკიულ შუა ფ... თავს დაესხნენ რამდენიმე შეიარაღებული ... დასჭრეს ფოსტალიონი და ფოსტა გაიტაც...

**კურსკი.** (ოფიც. კორესპ.) ნაშუადღე... პირველ საათზე კურსკის სადგურზე კანს... კამანდის სალდათმა ლავროვმა სიმთვრალი... მო, ლაპარაკის დროს რევოლვერის ორი ...ით მოკლა კანცოის აფიცერი შტაბს-კაპ... ნიკიტინი. ლავროვი დაიჭირეს.

**თეირანი.** დიდის ამბით გახსნეს გერმ... მისიის სადგომი. გერმანიის იმპერატ... ვილჰელმის და სპარსეთის ხაზინის ხარ... დაიწყეს გერმანიის უნივერსიტეტის შე... პროფესორები გერმანიიდან გამოიწერეს.

**კენიგსბერგი** გაიფიცნენ პურის გადამზ... მუშები. თხოულობენ ქირის მომატებას.

რედ.-გამომცემელი ი. კარგარეთელი.

# განცხადებანი

იყიდება
სასადილო
თავისი სამზარეულოთი და მოწყობ... ბით. ავჭალის ქ., № 43. ვანო ქე...
(2—...

Открыта подписка на новую еженедѣльную газету
„КАВКАЗСКАЯ НЕДѢЛЯ“
Газета выходитъ въ г. Тифлисѣ разъ въ недѣлю по понедѣльникамъ.
Подписная плата съ 1 августа до конца года съ пересылкой и доставко
— одинъ рубль. —
Пріемъ подписки и объявленій открытъ при тип. Т-ва „Трудъ“, Михайловская, 65.
Контора открыта ежедневно, за исключеніемъ праздниковъ, отъ 9—12 ч. дня и отъ 3—5 ч. веч.
Плата за объявленія: передъ текстомъ—20 копеекъ, послѣ текста—10 копеекъ. Многократныя по соглашенію.
Личныя объясненія съ редакторомъ по понедѣльникамъ, четвергамъ и субботамъ отъ 1 ч. до 3 ч. вечера, Елизаветинская, 74.
Ред.-изд. С. D. Бранчески.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ტფილისი,. ოხელის ქუჩა,